მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჴსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11—12 1883—1894 1—30 იგნასს.

რედაქციისაგან.

1) უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, რომ წერილის გამოგზავნის დროს მარკები არ დააკლონ წერილს, რადგან შემდეგ ფოსტა ერთი ორად ითხოვს მარკების ფასს, ამისთანა გარდასახად-დადებულ წერილებს რედაქცია არ მიიღებს.

2) «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში იმყოფონება ყოველ გვარი სავადო უწყებების, მოწმობების და გამოწერილობათა ბლანკები და ვინც მანეთზედ ნაკლებს არ მოითხოვს სხვა და სხვა გვარ ბლანკებს, იმათ ფოსტის გასაგზავნი ფული არ გამოერთმევათ.

3) ჰატარა იაფ-ფასიანი ხატები მაცხოვრის, ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის და თორმეტ საუფლოთა მიღებულია ორ-ორი და სამ-სამი ათასი და მთხოვნელებს გაეგზავნებათ ფოსტით დაუეოვნებლივ.

საზოგადოების საგულისხმოდ.

ვინც კი ადეილ-ებს თვალ-ყურს ჩვენს ქართულ მწერლობას, დაბეჭდილ წიგნებში და დროგამოშვებით გამოცემებში მოქცეულს—უეჭველად აღიარებს, რომ იშვიათად მიიკელევს მკითხველი მათში გარკეულს

და ყოველმხრივად დასრულებულს დასურათხატებას ჩვენის წარსულის ყოფამდგომარეობისას. რაც უფრო ჩვენ დროზე დაშორებულ ხანას ავიღებთ, მით უფრო და უფრო მცირე ცნობებს ვიპოვით, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, უახლოეს დროის შესახებაც არა გვაქვს ყოველივე გათვალისწინებული. რამოდენიმე თავგამოდებულ მოღვაწეს და ისტორიის მკვლევარს თუ აქვს ჩვენში ეს ნაკლი ცოტათ მაინც აშორებული, თორემ დანარჩენი მკითხველი ხომ, მარტო დასტამბულის მასალის შემჩერე, ამ ნაკლთან არის თანშეზრდილი. სხვა ბევრ წვრილმან მიზეზს რომ არ გავჰყვეთ, აქ უმთავრესად ის უნდა ვიგულოთ, რომ ბევრი შესანიშნავი და ფრიად საჭირო მასალა, ჩვენის წარსულის ცოტად თუ ბევრად დამახასიათებელი, ჯერაც მთლიად საიდუმლოსავით ერთის ან ორის პირის ხელთნაწერის წამკითხველისათვის, არის მარტოდ ცნობილი, ან და ობლად შთენილი, სხვა-მიუკარებელი ჯერაც ელის წამკითხველს. როდესაც სხვა ერი მცირეოდენ, წვრილმან ცნობასაც კი ჰბეჭდავს თავის წარსულის შესახებ და თავის თავგადასავლის გამორკვევაზედ ამყარებს თავის შინაარსიანობას და ძალას, რათა ამით დაიკვეთოს მომავლის ძალაც და თავმოწონებაც შეეტანოს თვისი წვლილი საერთოდ კაცობრიობის წინსვლელობის ნაკვალევში, თამამად მოითხოვოს კაცობრიობის წინაშე ზნეობრივი უფლება თავის თავის დაუბრკოლებელის არსებობისა და მარჯვეთაც წადგას თავის მხნე ფეხი, გონება-ზნეობის საგზლით აღჭურვილმა, თავის მომავლის არსებობის გასაადვილებლად—ჩვენ თავაუტეხელად ვჰპარპაშებთ სამშობლოჲს ყოფამდგომარეობის უვაცობის ბურანში და თითქო სხვებისაგან მოველით, ამ თავგამოდებულ შრომა-მოღვაწეობას: სამერმისოდ გადაგვიდვია ეს საქმე, უსსოვარის დროიდამ წვა-დაგვას ძლივს ძლივობით აშორებულის მასალისათვის თამამად შეგვიქცევია ზურგი და მიჩრდილული გონების საუნჯე თითქოს განგებ აგვითვალწუნებია; თავისი მართლადაც და შინაარსიანი რაინდული წარსული თანამედროვე გაცუდებულ ყოფა-მდგომარეობით დაგვიწყდიადებია, ნაცვლად ოცდა სამის საუკუნის გარკვეულ დახასიათების წინწამძღვარებისა, მხოლოდ უკანასკნელ ნახევარ-საუკუნის ყოფა-მდგომარეობა ჩვენის სახის გამომეტყველ უტყუარ სარკედ მიგვიმზნევია და ეხლანდელი მრავალ მიზეზთა მეოხებით მოღმეჭილი თვისი სახე ეითომდა ოცდა სამის საუკუნის ჩვენის ეერის, ნიშან-წყალის სურათად დასახული, კადნიერად გამოგვიქვეყნებია. კიდევ კარგი, რომ რამოდენიმე თავდადებული მკვლევარი გვყოლია და გვყავს, რომელთა წყალობით მკითხველ საზოგადოებას ზოგიერთი ხანა ან მხარე მაინც აქვს გაცნობილი ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებისა, თორემ დალუბული იქნებოდა სულ ჩვენი საქმე. მაგრამ მარტო ესეც ხომ არ კმარა. ამის მიზეზი, ვიმეორებთ, მრავალია; ბევრიც შეიძლება ითქვას ჩვენ გასამართლებლად ანუ გასამტყუნებლად, მაგრამ სამწუხარო შედეგი მაინც რჩება. ჭეშმარიტი მცოდნენი ჩვენის წარსულის ყოფა-მდგომარეობისა რომ ცალკე ვიგულისხმოთ, დანარჩენი საზოგადოება,—რასაკვირველია საკუთარ ნიადაგისადმი ზურგ-შექცეულთა გამოკლებით—ჩვენის წარსულის შესახებ ან ქება-გლოვაშია და ან გინება-უმადურობაში; ორივეს კი თავისი რწმენა შეუმცდარი ჰგონიათ. რომელი მხარე გავამტყუნოთ—ჩვენ აქ ამას არ შეუდგებით; მარტო ბრალმდებლობის ყავარჯენი არ გვიშველის და ვაი თუ საზოგადოდ ბრალმდებლობას შეჩვეულებმა რიგიანი და საჭირო პირი ბევრი დავსაჯოთ და ჩვენის ჭაპანწყვეტით კი ნამდვილ ბრალიანი და დასასჯელი პირი უფრო გავახაროთ და სხვის საქელეხოდ გავიხადოთ საქმე.

რომელი მხარე გამართლდება—ეს მომავლის საქმეა, რასაკვირველია, მაგრამ რომელი უფრო ადვილად გაგვითენებს—ეს ესაა თავ და ბოლო. გინება-უმადურობით მონაგონი წარსული ისე ადრე გამოგვიცლის ნიადაგს და დაგვახურდავებს, რომ სრულებით მოგვისპობს სიყვარულს და შრომას წარსულ ყოფამდგომარეობის გამოკვლევისას, დაგვამდაბლებს, როგორც თავის თვალში, ისე კაცობრიობის თვალშიდაც და ამით მალიად მიგვაახლებს გათახსირებას. ქება-გლოვა კი ზოგიერთს უსარგებლოთ მიაჩნია;

მაგრამ თუ ეს გრძნობა შეეუფარდეთ ჩვენს თანამედროვე პირობებს, მაშინ უეჭველად ამ გრძნობას უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნევთ. გარდამეტის და ულაგო ქების მომხრენი კი არ უნდა ვიყოთ და არც სასარგებლოდ უნდა მივიჩნევდეს, ოომ წარსულის ქება-დიდების ღაღადისმა მხოლოდ ჩვენს წუთიერ კმაყოფილებას უკმოს გუნდრუკი, წინმსვლელობის იმედი და შოთმა კი სულ დაგვითრგუნოს, არამედ უნდა თანავუგრძნოთ იმ დადინჯებულ ქება-გლოვას და ჭირისუფლობას, რომელიც გამჭრიახად ჩაგვახედებს თავის წარსულში. იქნება მაშინ ჭკუა-დამჯდარათ გავითვალისწინოთ ჩვენთვის სავალალო ასპარეზის წარსული თავგადასავალი და მედგარ შრომასთან ერთად შეეისხლეხორცებით მალე შეეაწროთ თავიანობის შეგნებას. სხვა და სხვა ჭიანჭველას თავგადასავალიც კი იზიდავს მკვლევარს, და სანუკვარ, საკალალო კიბეზეადაც ისახებაა ნუ თუ ოცდა სამის საუკუნის, თუ მეტის არა, თავშენახულმა ერმა უფრო მეტ სანუკვარ საგნად არ უნდა მიეიმჩნიოთ ჩვენის თავგადასავალის ცოდნა და გამოკვლევა. ქართველებს არასოდეს არ შემოგველევია თავმოყვარეობა; პირიქით უხვად თუ გვაქვს მონიჭებული ეს გრძნობა ბუნებისაგან, თორემ ნაკლოვანი ამაში არასოდეს არ ვყოფილვართ. კიდევაც ამ ქედ-დაუდრეკლობასა და თავ-მომწონეობისათვის გამკლავებია ბევრჯელ ჩვენი საქართველო მრავალ ვვარ მოსეულ მტერს და არ დაეკელვნა არავის; გამოვიარეთ ისეთი მტარვალობით მქმნელი ერი, როდესაც ბრალიან და უბრალოს ტლანქის ძალით აღჭურვილ რამოდენიმე ჯერის მტარვალთაგან მუსრი ევლებოდა, მოვაღწიეთ ამ მეცხრამეტე საუკუნემდე, როძელსაც განათლების გვირგვინობას აჩემებენ და როდესაც ათამც თუ ადამიანთა ჯგუფის, ტომის, არამედ თვითეულის პირის თავისუფლებასაც კი უზრუველ-ყოფილად ჰახვენ. ჩვენც რა გვეოქის? გვრწმენინ და ვჰსასოებთ... ნეტავეს საუკუნე მართლაც ასეთ მკურნალ სალბუნათ მოვლენოდეს ჩვენ ძველ იარებს და ჩვენზედაც ეჩინოს ისეთი ნაგეშარული გამაბედნიერებელი ხელმძღვანელობა, და ჩვენ საზოგადოებასაც სხვა სასარგებლო გრძნობაებთან ერთად იმდენი მაინც დაშთენოდეს დადინჯებული თავმოყვარეობა, რომ ზამოდ მოყვანილ ჭიანჭველებზედ დაქვეითებულად არ ჩაეთვალოს თავისს წარსულის სანუკვარობა, და თავიანობის ვარკვევა-შეგნებისადმი გზა უფრო საკალალო და სასარგებლო საქმედ მიეჩნიოს, როგორც თავის თავისათვის, ალრეთვე ეროვნებისათვისაც. თავიანობის შეგნება-გამოკვლევის საჭიროებას მარტო საკუთარი თავმოყვარეობა კი არ უნდა გვაღვიძებდეს, არამედ ის კაცობრიობის მსოფლიო ცნობისმოყვარეობაც, რომელიც ერთ-ერთ მისის წევრის თავგადასავალის გამოაშკარავებაში, სიამიანად უნდა გვახლოებდეს თვალს, ყურს, გულს და ჭკუას: ხილვად შრომით დაღარულის სახისა და ეაბირნახულეისა, სმენად სულის-ყვეთისა, თანაგრძნობად დაღუღებულ ეარამთგან ზეაღზიდულ წმიდა რწმენა-ისედისა და შეგნებად არსებობის საჭიროებადახმარებისა.

ბოდიშს ვიხდი, პატივცემულ მკითხველთან სიტყვის გაგრძელებისათვის, მაგრამ ეს ორიოდე სიტყვა გვათქმევინა ჩვენ თავზე მობარპაშე უცნაურობამ, ძვალსა და რბილში გამჯდარმა გულგრილობამ და ენებად მოვლენილმა გაუკვეველობამ, რაიც მხოლოდ აღგვას გვექადის ჩვენ. ნუ თუ უმთავრესი ბრალი სხვა მრავალთა აქ დაუახელებელ მიზეზთა გარდა თავიანობისადმი ზურგ-შექცევას არ უნდა დავსდოთ, იმ ზურგ-შექცევას, რომელიც ეკლა ზოგიერთს სიძაბაცის ხმალ-ალბარეად მიუჩინეია და ვითომდა რაინდობის უტეხარ ბეჭდათ მიუთვალია. ვიმეორებთ, რომ გარდა რამოდენიმე ნამდვილ მოღვაწისა, რომელთა პატივსაცემი და მართლაც მატიანეში მოსაქცევი გმირული შრომა-ღვაწლიანობა თვალის წინ გაგვმლია და გვეშლება — ბრბო საზოგადოებისა თავის ყოფამდგომარეობის შესახებ ჯერაც უვიცობას არ გაშორებია. ამ წინ-მავლელობის ნელიადობას და ფერნამკრთალობას არაფერი ეშველება, ვიდრე არ გავუთვალისწინებთ საზოგადოებას ჩვენს, ძველთაგან ნაჭირნახულევ ეროვნულ აღლადიდებას, სიავ-კარგის გამორკვევით შეიარაღებულს, თანამედროვე პირობებთან შეფარდებულს და მეცნიერების ბოძმედში გავლებულს. მაშინ, იმედია, მსოფლიო მეცნიერების იარაღის შემოშველებით უფრო საფუძვლიანად მოვიმკით იმ ყანას, რომლისადმი სასამსახურად დაგვსახა თვით ჩვენმა ბუნებამ და წარსულმა; მაშინ, იმედია, უფრო საფუძვლიანად გავითვალისწინებთ ყოველივეს, რაც კი საზოგადოებას საარ-

სო მისასწრაფელ საგნად, უზენაესს მიზნად უნდა დაეუსახოთ, რათა დაეუკვეთოთ მას ბუნების ნაირნაიროობის ერთ-ერთი წარმომადგენლობა.

მამულის შვილი.

P. S. მაშასადამე ერთ-ერთ სატრფიალო და უსაჭიროეს საგნად უნდა მივიჩნიოთ ჩვენის ყოფამდგომარეობის დამახასიათებელ ცნობების გამოაშკარავება და გამოკვლევა; შეიძლება ეს ცნობები შეუმუშავებელიც იყოს და უცხოეთის ღრმა მეცნიერთა განსპეტაკებულ ცნობებზე გაჩვეულ თვალს ეხამუშოს და ძალიან არეულ-დარეულად ეჩვენოს, მაგრამ რა გაეწყობა: თუ თავ-აუღებელ, შესანიშნავს მკვლევარს ჩვენის წარსულისას მხოლოდ მერმისისაგან მოველით, ხელთნაწერ მწიგნობრობის მრავალ და საყურადღებო ცნობებს მაინც ნუ დაეუკრძალავთ თანამედროვე საზოგადოებას, შეუმუშავებლადაც რომ იყოს. თუ ოდნავ მაინც საყურადღებო მასალა გვეგულება, ჩვენის ყოფამდგომარეობის დამახასიათებელი, მოვალენი ვართ ქვეყნის წინაშე ეს ცნობები ადვილ-საცნაურად გავხადოთ ე. ი. დავსტამბოთ. ეგების მაშინ შესუსტდეს ან და სულ მოისპოს გულ-გატეხილობა და აბიბრუება ქართულ მწერლობისადმი, ჩვენის საზოგადოების უმრავლესობისა, რომელიც ქართულს მწერლობითს ალა-დიდებას მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაბეჭდილ მასალით ზომავს და სითავეს კი დიად მდიდარს და მნიშვნელობით აღსავსეს, ხელთნაწერებში დაკრძალულს, სრულიად არ იცნობს. როდესაც ყოველგვარი ქართული მასალა გამოქვეყნდება და საყანე ასპარეზი მომზადდება, მაშინ, იმედია, ეს გულგატეხილობაც სასოებას დაუთმობს ალაგს და მხვნელ-მთესველიც უფრო ხალისიანად შეეწყობა მუშაობას. ჩვენაც ლითონ სიტყვად რომ არ შეგვრჩეს ეს გაჭიანურებული საუბარი, გვსურს ამ ჟამად გავაცნოთ ქართველ საზოგადოებას ერთი შესანიშნავი ხელ-ნაწერი, რომელიც ეკუთვნის გიორგი XIII შვილის, ბატონიშვილის იოანნეს მშრომელ და ნიჭიერს კალამს. ეს ხელთნაწერი, თვით შემთხზველის ხელით დაწერილი, იმექონების პეტერბურღის საჯარო წიგნთ-საცავში. აქ არ შეეუდგებით ამ ხელთნაწერის გარჩევას, მაგრამ ვთხოვთ საზოგადოებას გულდასმით გარდაკითხვას. თითქმის ყველა იმას ჰფიქრობს, ვითომდა ჩვენს ძველებს ხანჯლის ტრიალისა და სისხლის ღვრის მეტში არაფერში ეჩინოსთ თავი. ეს იყო უმთავრესი საზრუნავი და სხვა მოქალაქეობრივ მოღვაწეობისათვის არაფრად იტკივებდნენ თავსაო, ქვეყნის გაუმჯობესობას რას დასდეედნენ, ოღონდ თავისი პირადი საქმე არ დაზარალებოდათო. მაგრამ წარსულის უვიცობას, რასაკვირველია, ბევრი ასეთი აჩქარებული და დაუკვირვებელი დასკვნა მოჰყვება. ეი ამ აზრის მღალადებელთა გასამტყუნებლად და გულ-შემატკივარ პირთა საგულისხმოდ ერთ-ერთ საყურადღებო მასალად მიგვაჩნია იოანე ბატონიშვილის წინადადების გამოქვეყნება. ეს ფრიად საყურადღებო მასალა ნათლად ამჟღავნებს, რომ ხმალ-ხანჯლის გამწვავებულის ტრიალის დროს ქვეყნის გულ-შემატკივარნი პირნი სხვა მოღვაწეობასაც არ აკლებდნენ ხელს; ეს მასალა ცხადი ნიშანია მისი, რომ წარსულ საუკუნის დამლევს ბევრი ისეთი სასარგებლო და გამჭრიახი აზრი ტრიალებდა ჩვენში, ბევრი ისეთი გონიერული საშუალება ისახებოდა, რომელიც თითქმის ეხლა-ხანად მოჰყავთ სისრულეში ზოგიერთ სხვა ქვეყნებს. გთხოვთ დაბეჭდოთ ეს მასალა ჟურნალ «მწყემსში» და დანარჩენ მასალასაც შემდეგ მოგაწვდით, ვინაიდგან სრული დარწმუნებულნი ვართ, რომ თანაგრძნობით მიიღებთ ამისთანა საისტორიო მასალებს და ადგილს მისცემთ თქვენს გამოცემაში *).

მ. შ.

---

*) დიდის სიამოვნებით გბეჭდავთ ამ სტატიას, და მზად ვართ ყოველთვის ადგილი დაუთმოთ ყველა იმისთანა საისტორიო მასალას, რომელიც ასე თუ ისე შეეხება ჩვენს წარსულს და აწმყო ისტორიას. ამ სტატიასთან გამოგზავნილს მართლაც შესანიშნავს მოხსენებას იოანნე ბატონიშვილისას გბეჭდავთ ამავე №-დამ.

რედაქტორი.

რა არის ცოდვების მისატევებელი ქაღალდი?

ეგნატე ინგოროყვას დასაფლავების ამბის მომთხრობი გაზეთს «კვალში», სხვათა შორის, სწერს: «ეკლესიაში წირვის შემდეგ მიცვალებულს წესი აუგეს და ბოლოს მღვდელმა დასტამბული ქაღალდის ნაწიბური დაადვა კუბოზე და ჭირისუფალს უთხრა: «ეს ცოდვების მისატევებელი ქაღალდია და იცოდეთ ათ შაურად დირსო». ჭირისუფალმა ყველას გასაგებად უთხრა: «აიღე, მამაო, ეგ ქაღალდი; ჩემი მიცვალებული არ საჭიროებს მაგ ქაღალდსო. მღვდელს შერცხვა და დასტამბული ქაღალდი უკან წაიღო».

სწორეთ სამწუხარო ამბავია! სამწუხაროა იგი როგორც სამღვდელოთა ისე საერო პირთათვის. მე მღვდელი ვარ, მაგრამ ჯერ არ გამიგონია, რომ სადმე იყიდებოდეს «ცოდვების მისატევებელი» დასტამბული ქაღალდი და ისიც ათ შაურად! გურიაშიდ საიდამ გაჩნდა ეს «ცოდვების მისატევებელი» ქაღალდი? საერო წოდების პირნი რომ წაიკითხვენ ამ ამბავს, რასაკვირველია, მწუხარებასთან სიხარულსაც იგრძნობენ, რომ მღვდელმა ვედარ გაასაღა და უკანვე დაიბრუნა ეს «ცოდვების მისატევებელი ქაღალდი»-ო...

რა გრძნობას დაბადებს ეს ამბავი ზოგიერთ მკითხველებში? რას არ აფიქრებინებს ეს ამბავი ერის კაცს, რომელიც ცოტა სხვა აზრით უყურებს სასულიერო წოდებას და ყველაფერ საეკლესიოს... და ამისთანა უბრალო შემთხვევით, ზოგიერთების ამისთანა უმართებულო საქციელით იბდალება შვენიერი ჩვეულება, შვენიერი წეს-წყობილება ჩვენი ეკლესიისა. ხშირად მოხდება, რომ ცუდმა ჭურჭელმა სასმელი წაახდინოს. მრავალნი სასმელის უვარგისობას თვითონ სასმელს მიაწერენ და არა ჭურჭელს, რომელშიაც ესხა სასმელი. ასე სჯიან სასულიერო წესების შესახებ ზოგიერთი საერო პირნიც...

სამწუხაროდ ჩვენში გაზეთები ხშირად იმისთანა ამბებს მიაქცევენ ყურადღებას, რომელიც საყურადღებო არ არიან და იმისთანა ამბებს, რომელნიც მართლა საყურადღებოა, იმათ კი სრულებით უყურადღებოთ სტოვებენ. ჩვენს ეკლესიაში არავითარი ისეთი წესი არ არის არც ერთი საიდუმლოის და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს, რომ იგი წინააღმდეგი იყოს და ვინმე ერისკაცმა დაიწუნოს და სთქვას, რომ ამას მე არ ვსაჭიროებო. ჩვენ არ გვჯერა, რომ სადმე აღმოჩნდეს ისეთი მღვდელი და ის სიტყვები სთქვას, რასაც ალაპარაკებს «კვალის» მოამბე ინგოროყვას ანდერძის ამგებ მღვდელს. არ გვჯერა, რომ ამისთან საწინააღმდეგო საქციელი ჩაიდინოს მღვდელმა...

წესის აგების დროს, მართალია, მღვდელი წაიკითხავს გარდაცვალებულზე შენდობის ლოცვას. ამ შენდობის ლოცვაში მღვდელი ევედრება ღმერთს, რომ მან შეენდოს ყოველი შეცოდვება გარდაცვალებულს, რომელსაც შეუცოდავს ამ ქვეყანაზედ ვითარცა კაცს ხორციელს და ევედრება ღმერთსა და მის წმიდათა, რომ განუსვენოს გარდაცვალებულის სულსა, სადაც განისვენებენ მართალნი სასუფეველში. ეს ლოცვა კერთხევანში არის დაბეჭდილი, მაგრამ იგი ცალკეც არის დასტამბული და ეწოდება შენდობის ფურცელი. ამ ფურცელის ფასი გარდაწყვეტილია 6—25 კაპეიკამდის. კანონით გამოცხადებულია, რომ, თუ მღვდელმა მეტი გადა-ახდევინა და ეს დამტკიცდა, ერთი შაურიც რომ იქნეს მეტი გარდახდევინებული, მღვდელი ამისთანა საქციელისათვის მედავითნის ადგილზე უნდა ჩამოიყვანონ. იქნება გვითხრას ვინმემ, რომ არც ამას უნდა ახდევინებდენ ხალხსო. ჩვენ უნდა მოვახსენოთ ამისთანა პირთ, რომ ეს, მაინცა და მაინც, გარდაცვალებულთა ჭირისუფლების უნებურად კი არ ხდება, არამედ მათის ნებით. იქნება ისიც იფიქრონ, რომ აქედამ აღებული ფული მღვდლის სასარგებლოდ მიდიოდეს. არა, მღვდელს აქედამ გროში—კაპეიკი არ ერგება. იქნება ვისმეს ჰგონია, რომ ამ ფულებით ეკლესია სარგებლობდეს. სრულიად არა. ეს ფულები გროვდება ყველა ეპარქიაში ცალ-ცალკე და წლის დამლევს იგზავნება უკლებლად სასულიერო სასწავლებ-

ლების სამმართველოებში ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. აი დანიშნულება ამ შენდობის ფურცლებისაგან შემოსული ფულებისა. მე არ მჯერა, რომ ვინმე წინააღმდეგი შეიქნეს ამ ორიოდე გროშის გადახდაზე და ისიც მისი ნება-ყოფლობით, თუ იცის, რომ ეს ფულები ამისთანა კეთილ საქმეზე იხარჯება. მაგრამ იქნება კიდევ სთქვას ვინმემ, რომ 25 კ. არა აქვს გარდაცვალებულის ჭირისუფალს და ამიტომ ეს მცირე ფასიც დიდათ ეჩვენებაო. მაგრამ ეს ფიქრი და აზრი ხომ სრულებით ტყუილია. ჩვენი ხალხი მიცვალებულის გასვენების დღეს ნამდვილ საჭიროებისათვის სრულებით არას ხარჯავს, ხოლო ზოგიერთ საზიზღარ სულისა და ხორცის მავნებელ ჩვეულებათა ასასრულებლად კი ბევრ ფულს ხარჯავს. ქელეხისა, კუბოებისა და სხვა უბრალო ნივთთათვის ასიდამ ორას მანეთამდე ხარჯავს და ეკლესიის კრებულს თუ ერთი თუმანი მისცა, ქვეყანას გააურუებს ძახილით: ბ[illegible]ებმა შეგვჭამესო... დიახ, ამისთანა ბრიყვნი და უკულმართი შეხედულება აქვს ჩვენს საზოგადოებას საეკლესიო საქმეზე...

ჩვენ კიდევ განვიმეორებთ და ვიტყვით, არ გვჯერა, რომ ისეთი საქციელი ჩაედინოს მღვდელს ინგოროყვას დასაფლავებაზე წესის აგების დროს, რასაც დამსწრე სწერს «გვალში». მაგრამ არც ის შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ყოველგან და ყველანი ერთსა და იმავე ფასს იღებდენ შენდობის ფურცლებისათვის. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით და ვაცხადებთ, რომ შენდობის ფურცლები არც ერთ ადგილას და არავისაგან არ შეიძლება გაიყიდოს მანეთად და ათ შაურად. ყველამ უნდა იცოდეს, რომ რომელ მღვდელსაც დაუმტკიცდება ათი შაურის და მანეთის გარდახდევინება ამ ფურცლებში, იგი მედავითნის თანამდებობაზე ჩამოიყვანება კანონით. ყველას, ვინც კი შენიშნავს შენდობის ფურცლების გაყიდვის საქმეში რაიმე უკანონობას, განცხადება უნდა შეიტანოს, სადაც ჯერ არის და ითხოვოს დამნაშავე პირის დასჯა.

ლევ. დ. ლომაშიძე.

ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდელოების საყურადღებოდ.

ჩვენი სამღვდელოებისაგან ხშირად გვესმის სამდურავი მათ წარმომადგენელ პირებზე: ერთი სასულიერო სასწაველებელი გვაქვს, იმაზე იხარჯება ჩვენი საცხოვრებელი, და ისიც არ არის რიგიანი. ხშირად საზოგადოების სამდურავი რომელიმე თანამდებობის პირისადმი არ არის სამართლიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში თუ გადახედავთ პირუთნელად ჩვენი სამღვდელოების მდგომარეობას, დაინახავთ, რომ მართლაც არ არის მოსაწონი მათ წარმომადგენელთა საქმის მოპყრობა, მსჯელობა და თავგამოდება სასწაველებლის შესახებ; ნახავთ რომ ზოგიერთების მოქმედებას არა აქვს მთლად უანგარო მიზანი. ამას დასამტკიცებლად მოგვყავს ჩვენ შემდეგი საბუთები: როდესაც ერთ დეპუტატთაგანს გავუცხადეს ასეთი საყვედური, მან ასე უპასუხა: განა არ იცით, რომ თქვენი ფულ-სათვის სამმართველოს და მთავრობას ვერ ვაწყენინებო».

აბა ჩაუფიქრდით ამ პასუხს; ნუ თუ სამღვდელოების წარმომადგენელს ის უნდა ჰქონდეს ჰაზრში, რომ თუ სამმართველოს რამეში არ დაეთანხმე, თუ მისი წინადადება უთუოდ არ მიეიღე მიუხედავად იმისა, არის ეს წინადადება არსებითი საჭიროება სასწაველებლისათვის, თუ არა, თუ მისი მორჩილი არ გაეხდი, აბაზედ სამმართველოსაგან წარდგენა დამეკარგებაო! ყოველს წარმომადგენელს კრების დროს, როდესაც უნდა განიხილონ საწაველებლის ხარჯთა აღრიცხვა, უთუოდ სახეში უნდა ჰქონდეს ჩვენი საძღვდელოებია ნივთიერი მდგომარეობა და შეძლება. ამით მე იმას არ ვამბობ, ვითომც რა კი ღარიბია ჩვენი სამღვდელოება, ამიტომ სასწაველებლის ბოთხოვნილებაა უარი ვუთხრა-ოთ-ქვეთქი! არა, მაგრამ უნდა დაკმაყოფილდეს ის მოთხოვნილება, რომელიც არსებითად საჭიროა სასწაველებლისათვის. ხოლო ის, რის უარის ყოფა არაფერ დიდ ზარალს არ მოსტანს სასწაველებელში სწაველის წარმატებას, ის რაც ერთ დროით არის საჭირო და შემდეგ მოუხმარებელი, ის, რაც შეადგენს მეტობას, უნდა იქნას უარყოფილი. ჯერ სხვაგვარივ მდიდარი ენა ვიყვე,

რომ შემდეგ კოხტაობას და ეზოს ყვავილებით გამშვენებას მიეჰყოთ ხელი.

რასაკვირველია ყველა სამღვდელო პირმა, მით უფრო მათმა წარმომადგენელმა, უნდა იცოდეს — და იცის კიდეც — რომ დეპუტატების გადაწყვეტილებას სასწავლებლის შესახებ სრული ძალა აქვს. მაშ არ არის მართალი ის დამოკრება სასწავლებლის სამმართველოისა: ამ ჩემ წინადადებას თუ თქვენ არ მიიღებთ, მე უთქვენოთ მაინც გავიყვან ჩემსასო... რა საჭიროა წვერად სათათრეში მოსამსახურე კაცის ამოჩრჩევა, როდესაც ახლოც არიან ბევრნი ღირსნი ამ თანამდებობისა! განა სასწავლებელში ხმოსნად, სამღვდელოების წარმომადგენელად დანიშვნა ინტერესზე უნდა იყოს! ან და რა კი ერთი ვინმე გვეტყვის, ეს ამოირჩიეთ უთუოდ, ეს წყნარი კაცია, შესიტყვება არ იცისო, უთუოდ ის უნდა ამოვირჩიოთ!

როდესაც რაიმე თანამდებობას ანდობენ ვისმეს, აქ არც ნათლი-მამობას, არც მოყვრობა-ნათესაობას და არც სხვა რაიმე ინტერესებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ჩვენში სულ სხვაა. თუ მინდა თანამდებობა ვიშოვო, ვინმე გავლენიან პირს უნდა გავეცნო, დაუახლოვდე, მისი მოწყალება დავიმსახურო, და მორჩა! ერთს კი არა ყველა თანამდებობას მე ვომცემენ! სხვა ღირსება შენთვის შეინახე! დიდად არაფერი საჭიროა!

უნდა გამოვტყდეთ, რომ არც ერთ კრებაზედ არ აღძრულა ისეთი კითხვები, რომელთა გადაწყვეტა წინდა წინვე არ ჰქონდესთ დეპუტატებს ნაცნობი, ბევრია ისეთი კითხვები, რომლებიც სამღვდელოების კრებათა წესდებულებაში არ არის პირდაპირ ნათქვამი, მაგრამ მისი წინააღმდეგნი მაინც არ არიან. რატომ ასეთ კითხვებზედ არ უნდა ვიქონიოთ ხოლმე მსჯელობა!

ნუ თუ კრება არ უნდა შეეხოს, არ უნდა გაიგოს, თუ რა მდგომარეობაშია სამღვდელოების შვილები სასწავლებელში, როგორ მიდის მათი სწავლა-აღზრდის საქმე? ამ ბოლო დროს ყველანი — შაგირდების მშობლებიც და სხვებიც ამჩნევენ, რომ ზნეობრივი აღზრდა შეგირდებისა, თუ უკან არ მიდის, წინ მაინც არ იწევა. ბევრი შეგირდთაგანი ირიცხება, უფრო ბევრს ოთხი უზის ყოფა-ქცევაში, ბევრი რჩება, ბევრი თავხედობს და სხვ. ნუ თუ არ უნდა გაიგონ საღვდელოების წარმომადგენლებმა, თუ რა არის მიზეზი, რომ ყმაწვილებს საერთოდ სამშობლო ენაზე დალაპარაკება აკრძალული აქვთ სასწავლებელში, და თუ ვინმემ დაილაპარაკა, მორიგე (дежурный) შაგირდი გზავნის მასს უფროსთან, რომელიც ყოფა-ქცევაში ოთხს უსვამს! ნუ თუ ამით უნდა დაბრკოლდეს შაგირდი? ნუ თუ ეს გარემოება მავნებელი არ არის მათი შვილებისათვის? ყველა პედაგოგებისაგან ცნობილია, რომ თუ ყმაწვილს პირველად სამშობლო ენას არ ასწავლიან, არ უმტკიცებენ სასხლსა და ძალღვში, მაშინ ის სხვასაც ველარ სწავლობს, სხვაშიაც ჩლუნგდება — კოჭლობს.

და ბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ სასურველია სამღვდელოება დეპუტატებად სემინარიაში კურს შესრულებულებს გზავნიდენ. მაღლობა ღმერთს ამ ბოლო დროს ჩვენ სოფლებშიაც გამოჩნდნენ თითო-ოროლა, მაგრამ მათ ჯერ საქმეში ვერ ვხედავთ, ყველა ურბის, უცხოობს მათ. ვნახოთ ჩვენც ახალი თაობის მოქმედება, ისინიც ჩამოერიონ საქმეში, იქნება ღმერთმა ჰქნას და კეთილ გზას დაადგენ. იქნება იმათაც არ მოინდომონ მარტო ჩინისა და წარდგენისათვის სამსახური, სხვა შემდეგისათვის.

მღვ. დ. ჩ.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ «მწყემსში» აცხადებდით ამას წინეთ, რომ თქვენ გამოგიწერია ითვისიანი სტატები სალხში გასავრცელებლად. ამ ამბავს დიდის სიხარულით უნდა მეგებოს ყოველი ქუშაბიტი მოძღვარი, რომელსაც კი სურს თავისი სამრევლოს სულიერი წარმატება. მე დიდის ხნიდამ მქონდა თქვენად ითვ ფასიანი სტატების მოპოება და გავრცელება ჩემს სამლოცველოში, მაგრამ, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ჩემი განზრახვა გერ ავასრულე. მე სალმთო მოკვლოობად დაუდგინე რწმუნებულ ჩემდამ სამლოცველოს სამღვდელოებას, რათა მათ გამოეკითხათ და შეეტუოთ სამრევლოებში, თუ რამდენ ოჯახში

არ იმეტებენ ხატები. ამას წინეთ მე თქვენგან წამოგიღე ასოდენ ხატი წმ. საქართველოს განმანათლებელის ნიანსი. პირველად განუმარტე ხალხს ხატების თაყვანის-ცემის მნიშვნელობა წარსულ კვირას კულაშის მატხოვრის ეკლესიაში და თანაც გუნჯენე ხატები. მღოცველებმა დიდის უურადღებით მოისმინეს მოძღვრება და შეძლეგ თითქმის ყველა მითგანმა მოისურვა ამ ხატების ყიდვა. მარტო ამ დღეს სამოცდა თორმეტი ხატი გასაღდა ხალხში. მე სინდისი მაძხილებს, რომ ღვთმდე ვერ დავკმაყოფილე ხალხის სურვილი ჩვენი წმიდანების ხატის შეძენისა. ჩემის აზრით, პირველ დიდებას და აშენიერებას ქრისტიანის ოჯახისას უნდა შეადგენდეს რომელიმე წმინდანის ხატი, ხოლო მისი უმეტონლობა რომელიმე ოჯახში უნდა ჩაითვლოს დიდ დანაშაულობად. ხშირად შეხვდებით იმისთანა ოჯახებს, სადაც კედლებზედ დაიხახავთ თითრის ფაშების და აგრობიტების სურათებს და ხატს კი თქვენ ვერ დაინახავთ.

ღმერთის მადლით, ჩვენი ბლესკატობა ისე სუფთად ცხოვრობს სახლში, რომ მას მოეხერხება ერთ ოთახში მოათავსოს ხატი, კვირა-უქმე დღეებში სანთელი აუნთოს და ლმერთს შეეკედროს.

მაგრამ რედაქტორო! ვინაიდან სრული იმედი მაქვს, რომ ჩემს საბლალოჩინოში ყოველგან შეიგნებენ მოძღვრებას ხატის მოპოებაზედ და აღტაცებით მიეგებიან ამ ქრისტიანულ წინადადებას, უმორჩილესად გთხოვთ ერთი კვირის განმავლობაში დიმიზადოთ და გამოგზავნოთ ათასი (1000) ცალი ხატი. იმას, თუ რომელი ხატი უნდა გამოგზავნოთ, სულ ტოტა ხანში მოგართმევთ.

დიდის სიამოვნებით თანამგრძნობი ვარ თქვენი ამ კეთილ საქმის განხორციელებაში და ამიტომ მადლობას გიძღვნით, რომ მოგვეცით საშუალება საქართველოში იყოს ფასიანი ხატების გავრცელებისა ხალხში. არ მეკვრა, რომ წრფელის თანაგრძნობით არ მიეგებოს ამ კეთილ განზრახულებას უველა ჩვენი მოძმენი და თანაგრძნობა არ გამოგიცხადოს ჩვენმა სამწყსომაც.

ბლაღოჩინი კულაშის საბლაღოჩინო მაზრისა
მღვდელი ერმალოზ კანდელაკი.

მწარე ფიქრები.

ხშირად ჰხედავთ ცხოვრებაში, რომ გამოდის უსუსური ვინმე და დიდის ხნის მოღვაწის განკიცხვას დაიწყებს, მხოლოდ იმ აზრით, რომ საზოგადოებას დაუმტკიცოს, ვითომდა მე მეტი შეეტყო, მე მეტი შეეგენი, რაა მამულისა და მოძმეთათვის საჭირო და უფრო სასარგებლოა და ამის შესახებ მეტსაც ვზრუნავო. ამისთანა უსუსურების რიცხვი არასოდეს ისე არ ყოფილა გამრავლებული, როგორც ეხლანდელ დროში. ამისი მიზეზი გახლავთ ეხლანდელ დროის ზოგიერთი ღღიური გაზეთები, რომელნიც საბეჭდავ მასალის სიმცირისა გამო, მზად არიან ყველაფერი დაბეჭდონ, ოღონდ ადგილი შევსებულ იქნეს. საზოგადოებაში თავის აზრების წარმოთქმა ამ უსუსურებს სრულებით არ შეუძლიათ, რადგან დაცინვის მეტს ვერაფერს მოიმკიან, მაგრამ რომელიმე გაზეთში გაბედულად გამოდიან, ნილაბ-ჩამოფარებულნი სხვადა სხვა ეხიაგის «ფსევდონიმებით». უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, სწორედ სირცხვილია როგორც ამისთანა ნილაბიან მწერალთათვის, ისე თვით რედაქციებისათვის, რომელნიც მფარველობას უწევენ ამისთანა უსუსურ მაძაგებლებს, რათა მათ

სიტყვა, წარმოთქმული აკაკის მიერ ქართლის თავად-აზნაურობის წინაშე.

გუშინ ბ ნმა ჭავჭავაძემ ბრძანა: «ნათქვამია, ნამეტანი გრძნობისაგან ბაგენი მეტყველებენ და მე კი სულ სხვასა ვგრძნობ!.. ბაგენი ჩემნი სდუმენ და მადლობის თქმას ველარ ვახერხებო!!. ვმადლობ იმათ, ვინც მე ამომირჩიეს—განაგრძო ტრიუმფატორმა—ხოლო ვინც არ ამომირჩიეს, იმათთვის კი ვისურვებ, რომ შემდეგისათვის თვალი ახელოდესთ, სიმართლე დაენახოსთ და მითმეც მათი გული მომეგოსო». სასურველია ეს სიტყვები დროშაზედ მოიქარგოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ქვეშ ჩვენი პატარა—სიტყვებიც მიწერილი იყოს: «ვისურვებთ, რომ არა მხოლოდ ცხრაასსა და სამასს ახელოდეს თვალი სასწორმხედველოდ, არამედ მთელ საქართველოსაც!» მაშინ, მხოლოდ მაშინ, იქნება ადვილი სისწორ-სიმრუდის დანახვა და ავ-კარგის გარჩევა... მაშინ ქება-დიდებაც უფრო ღირსეული იქნება და სარწმუნოდ მისაღები!!. შეგნებულთაგან პატივისცემა გამამხნევებელი მალამოა დაღალულ მოღვაწისათვის და ამიტომაც გულ-წრფელ მოღვაწეს არა ჰსურს, რომ ბრმებმა, გინდ მათი რიცხვი უთვალავიც იყოს, თაყვანი სცენ მის შეენიერებას და ყრუებმა მჭვერ-მეტყველება მოუწონონ!!. მე ვხედავ, რომ გულ-მოდგინეთ მიგდებთ ყურს, მაგრამ მაინც კიდევ უნდა გთხოვოთ, რომ ეს ჩემი სიტყვები, რასაც დღეს აქ მოგახსენებთ, დაიმახსოვროთ. გთხოვთ ამას მხოლოდ სიმართლის მოყვარეობისა და არა უბრალო კერძო თავმოყვარეობის გამო: ახირებულ დროში ვცხოვრებთ! დღეს ჩვენში სიმართლემ და ჭეშმარიტებამ ნიადაგი დაჰკარგეს და მათ ნაცვლად სიმრუდე და ორპირობა ფარფაშებს!.. ცილის-წამებას საზღვარი აღარა აქვს: სიტყვა სხვანაირად გადააქვთ... აუკუღმართებენ და იარაღად ხმარობენ. თვით ნაწერებსაც კი სხვანაირად ხსნიან და თავს მითი მართლულობენ, რომ ასე გვესმისო. ამის მაგალითები მე თვითონ ჩემ თავზე გადამხდა: შარშან (ბევრს თქვენგანს უთუოდ ახსოვს) როდესაც კრებაზე ჩამოვარდა მსჯელობა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ, მობაასენი ორ დასად გაიყენენ. ერთს უნდოდა სკოლის გადაკეთება მისის წესდების შეცვლით და მეორე კი წინააღმდეგი იყო. მეც რასაკვირველია, გულმა აღარ მომითმინა და ჩავერიე შემდეკი წინადადებით: ეს წესდება ბედნიერ დროსა გვაქვს მიღებული... დღეს წუნს ნუ დავდებთ ჩვენს ერთად ერთს სკოლას, თორემ სიმაგიეროს მაგისთანას ველარ მივიღებთ და შენანებული დავრჩებით... ჯიბრზე ნუ შევაგდებთ! საჯიბროდ ნუ გახდით ამ წმინდა საგანს!.. მთელი ჩვენი ისტორია ცოტა მაგალითს წარმოგვიდგენს, რომ ჯიბრს დაველუპოთ? ჩვენი ერისთავები, დიდებულები, თავადები ძველათ ყველანი თავ-დადებული იყვენ მამულის გულისთვის, თითოეული მათგანი სამსხვერპლოთ იყვენ გაწირული. მაგრამ ერთმანეთში რომ ვერ მორიგდებოდენ ხოლმე, მტრებს მოიმხრობდენ, შახ-აბაზებს, ხოჯახანებსა და მძვინვარე ფაშებს ჩვენი ქვეყნისკენ გზებს უკვალავდენ მეთქი. ერთმა იქ მყოფთაგანმა, ცბიერად მკითხა: ვინ არიან მტრები? პირდაპირ დაასახელე და ვის იგულისხმებ შახ-აბაზებათ, ხოჯახანებათო?—მე წარმოგიდგინე სარკე ჩვენის წარსულისა-მეთქი, ვუპასუხე და გაეჩუმდი. მაშინ მიუბრუნდა ისევე კრებას ცხარე სიტყვებით: ბატონებო! თქვენ გეძახისთ მოღალატეებს, მტრებს, შახ-აბაზებსო და სხვანი და სიტყვების გადასხვაფერებით იმდენათ ააღელვა ზოგიერთები, რომ სცენაზედ შემოცვივდნენ და ერთმა ლეკორეველიც ამოიღო!.. მაგრამ მე, როგორც ქართველს, არ შემშინებია!.. მართალია, ფარხმალს ჩემ მაგ-პაპასავით ვერ ვატრიალებ, მაგრამ გულს კი ისევ ქართულად ვხმარობ და სიმართლისათვის რომ კიდეც ამკუწონ, არ გავიქცევი; მართალია შიშმა ამიტანა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს შიში კი სულ სხვა გვარი იყო: «ნუ თუ—ეფიქრობდი ჩემს გუნებაში—ის რწმენება, რომელიც ამდენი ხანია გულით მიტარებია, რომლისათვისაც შემიწირავს ჩემი პირადი არსებობა, რომლის გამოც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთი დღე ბედნიერი არა მქონია, ნუ თუ მართლა ის რჯულად გადაქცეული საგანი შეცდომა იყო? ნუ თუ ის გზა, რომლისკენაც დღეს ზოგიერთები გვითითებენ, უფრო სწორი და სასარგებლოა ქვეყნისათვის? მაშ, ვაი დატანჯულო სიცოცხლევ და გაცუდებულო იმედო!!. აი, რა მაშინებდა წლის განმავლობაში და რა მიფთხობდა ძილს!.. მაგრამ წრეანდელმა კრებამ გამკურნა მე: როდესაც ერთ უბრალო წესდების მუხლის შეცვლაზე ჩამოვარდა ბაასი, ზოგიერთებმა ის შარშანდელი ჩემი სიტყვები გაიმეორეს

და ქების ტაშიც გამოიწვიეს!.. აღარავის მათთვის აღარ უთქვამს: ვინ არის და სად არის მტერიო? მაშინ... მაშინ კი მეც მივხდი, რომ მე კი აღარ ვყოფილვარ შემცდარი, მხოლოდ ისინი, ვინც ხან მარჯვენივ აფრიალებენ დროშას და ხან მარცხნივ. ზედაც ასე უწერიათ: «ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო»... და ის გაზეთებიც, რომელნიც იმათ ბანს აძლევენ, სამანასეო ყოფილან!.. მეორე მაგალითი: წელს კრების წინეთ მე გირჩევდით თქვენ, რომ სოფლებიდან ჩამოსულიყავით აქ, ქალაქში, თქვენი ყურით მოგესმინათ ყოველიფერი, თქვენი თვალით დაგენახათ, თქვენი ჭკუით აგეწონათ და ისე დაგედვათ მსჯავრი, რომ სხვების რჩევასა და ჭკუას არ აჰყოლოდით. თუ სიღარიბე ხელს შეგიშლიდათ, გირჩევდით, რომ ვალი აგეღოთ, მიგემართათ მეზობლებისათვის, მათგან ხელი გაგემართათ და უთუოდ დასწრებოდით საზოგადო საქმეს. ეს ზოგიერთებმა გადაასხვაფერეს და გაზეთებში ამტკიცებდენ ჩემზე: ვითომც მე თქვენთვის მოქრთამობა და სინიდისის გაყიდვა მერჩოს. განა ამის თანა რასმეს მე ან ჩემ თავსა და ან თქვენ შეგკადრებდით? ეს გაუგებრობა ჯერ მე იმათ უყურადღებობას მიგაწერე ჩემი ნაწერისადმი და ხელმეორეთ ისე გარკვევით ავუხსენი მათ იგივე აზრი, როგორც პატარა ბავშებს, მაგრამ მაინც რომ აღარ გადათქვეს, მაშინ კი მივხდი, რაც ალაპარაკებდათ!.. თურმე საარჩევნო ხრიკები იყო მათი ჯიუტობა და გავჩუმდი. ორი კვირის განმავლობაში გაზეთები ჩემზე ცილისწამებით მოლაშკრეობდენ, კრებებზე ურიგოთ მ ხსენიებდენ და ზოგიერთები მედიდურობით დედა-მიწასთან გასწორებას მემუქრებოდენ, მაგრამ თქვენც მოწამე ხართ, რომ მე მხოლოდ ვიცინოდი—რადგანაც დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ იმ ჩემ სიტყვებს, ჩვეულებისამებრ შემდეგში ისინივე განიმეორებენ.—ზოგიერთები იმასაც კი გეუბნებოდენ თქვენ ჩემზე, რომ იმერელია და რჩევას ნუ დაუჯერებთო, მაგრამ თქვენი პასუხი სასიამოვნოთ არ დაურჩათ და მე ჩემის მხრით ამას ვიტყვი: საქართველო ერთია ყველასათვის, როგორც ერთი დედა და ამერეთ-იმერეთი ზედ ორი ძუძუ!.. უსუსური ბავში რომ ცალ ძუძუსა წოვს, იმავე დროს მეორესაც ხელს უჭერს, არავის დავანებოო!.. ისე თანასწორად უყვარს ორივე და ვინ იქნება მისთანა ჭკუათა მყოფი ქართველი, რომ ორივე მხარე ამერიცა და იმერიც თანასწორად არ მიაჩნდეს! სწორედ არ უყვარდეს?!.. დიაღ, ბატონებო, მე ვერავინ შემწამებს, რომ თქვენ იმერლებზე ნაკლებ მიყვარდეთ, და რჩევას უგულოდ გაძლევდეთ!.. დღეს, როდესაც კრება გათავდა, დაიშალა და თქვენ სახლისკენ ბრუნდებით, მე კიდეე იმავე რჩევით მოგმართავთ, რომლითაც მოგმართეთ კრების წინეთ: «როდესაც საზოგადო საქმემ მოგიწოდოთ, ნუ დაიზარებთ ხოლმე ჩამოსვლას!.. ვალი აიღეთ!.. არა თუ ქალამნებით, ფეხ-შიშველა რომ ჩამოხვიდეთ, დასაძრახისი არ იქნება!.. არა თუ სასტუმროებში და ბაღებში, ქუჩებშიაც რომ მოგიხდეთ ღამის გათევა, ნუ გერცხვინებათ!.. შესარცხვენი ის არის, ვინც გრძნობითა და გონებით არის ღარიბი და არა ის, ვისაც სიმართლე და ჭეშმარიტება უხ ლმძღვანელებს. ეგება თქვენგანმა ვინმე იფიქროს: რა გამოვა, რომ ჩამოვიდეთ ხოლმეო, თუ კი ყოველთვის დავმარცხდებითო? და ეს შემცდარი აზრია!...—დამარცხებული მხოლოდ მაშინ არის კაცი, როდესაც სასოებას დაჰკარგავს, გულიდან სიმართლესა და ჭეშმარიტებას გადაიგდებს და ძალ-მომრეობას შიშით დაემორჩილება!.. თორემ ვისაც სიმართლე და ჭეშმარიტება იმედით შეკავშირებული გულში უღვივა, ის ყველგან და ყოველთვის გმირია. თქვენ წელს ბევრი რამ მოისმინეთ.—ბევრი ჭეშმარიტება წარმოითქვა თქვენ წინაშე, ის დაიმარხეთ გულში და შეუდექით მომავალს —ზოგიერთებმა იკიან: «რა გამოვა ცარიელი სიტყვითაო? ერთ ყურში შევა სიტყვა და მეორიდამ გამოვაო!» ტყუვილია!.. სიტყვა თესლია კეთილი და საქმე მისი ნაყოფი. როდესაც მთესველი ფანტავს თესლს ხნულში, მაშინ უგნურს უკვირს: რას შვრება? რათ აბნევს ამ ხორბლსო? დაფარცხვას შემდეგ, როდესაც მიწაში მიიფარება მარცვალი, იმას ველარავინ ხედავს რამოდენიმე თვის განმავლობაში და მყრალ ბალახ-ბულახის აყვავებასა და ბიბინს შეჩერებია!.. მაგრამ მოვა გაზაფხული, მიწაში მიმალული მარცვლები თავს იჩენენ... აბიბინდება ჯეჯილი და მაშინ კი ყველა კუთხეეთ იხსენიებს მუშაკსა და მთესველს. სიტყვა თესლია! ხნული კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ჰკრება, მხოლოდ დროამდე მიმალულია და ნელ ნელა ღვივის, რომ შემდეგ თავი იჩინოს. თქვენ, ბატონებო, რაც წელს საკეთილო რამ გაიგონეთ, დაიმარხეთ გულში; წაუღეთ თქვენ ცოლშვილს, თქვენ კეთილ-მეზობლებს, გადაეცით მათაც და მოელოდეთ გაზაფხულს!.. შრომის და სიმართლის მოყვარეობა წინამორბედობაა იმ სანეტარო გაზაფხულისა!.. ვისურვებ თქვენთვის ამ დიდებულ მოვალეობას და გულითა ესვამ თქვენ სადღეგრძელოს.

„ბგალი“.

აკაკის სიტყვა.

პარასკევს, 3 ს ივნისს ბაღში სადილი გაუმართეს გორის მარშალს, ბ-ნ სულხანიშვილს. სადილზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და მათ რიცხვში ბევრი გარეშეც.—ჩვეულებისა მებრ ბევრი სიტყვა წარმოითქვა.—ბ-ნ ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლოყაშვილი იყო არჩეული ტოლუმბაშათ,—რომელმანც რამოდენსამე სადღეგრძელოს შემდეგ ტოლუმბაშობა გარდაულოცა ნიკო ვახტანგის ძეს ორბელიანს. ორბელიანის მოსწრებულმა და მჭევრ-მეტყველურმა სიტყვებმა საზოგადოება გაამხიარულა!.. ცოტა ნაკლი ის იყო მხოლოდ, რომ დედა-ენაზე სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა! როცა აკაკის სადღეგრძელო დალიეს, ერთხმად სიტყვა მოსთხოვეს და პოეტმაც, თითქოს ბოდიშის მოსახდელად, რომ ძველებურად აღარ შემიძლია სიტყვის მოხერხებაო, ლექსი წაიკითხა «ჭაღარა» და უკანასკნელი მუხლიც რომ სთქვა:

«არა!.. აჭყეავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს დაეძებს... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!».ო

ატყდა ერთი დაუბოლოვებელი ტაშის-კვრა და «ვაშას» ძახილი. პოეტმა მადლი გადაუხადა საზოგადოებას და ლექსაც ზედ მოაბა შემდეგი სიტყვა: «ბატონებო! ეს ლექსი შევთხზე ამ ათის წლის წინეთ და ზოგიერთებმა, ჩვეულებისა მებრ კიჟინა დამცეს: «აი უმეცარი პოეტის ოცნება, თუ გნებავთ, ეს არისო: რისი გმირი? რა გმირი? სად არის? და საიდან უნდა მოვიდესო?» მეც, რასაკვირველია, ჩვეულებრივად გავჩუმდი და ყურადღება არ მიმიქცევია მათი განჩინებისათვის.—გაიარა ათმა წელიწადმა და დღეს სულ სხვას გაიძახიან ისინიეე: «ის გმირები —პოეტი ვერ ხედავს, თორემ—დიდი ხანია, აგერ ოცდა-ათი წელიწადია, კიდეც მოვიდნენ და მორჩა, გათავდა, აწ სხვებს ნუღარ მოელითო!.. «იწამეთ მხოლოდ ისინი და თაყვანი ეცითო!» საკვირველია, რომ ამას ისინი გაიძახიან, ვინც ადრე სულ სხვას ლაღადებდენ! და ვისაც დღეს მათი არა სჯერა, იმას, გასრესას, დედამიწასთან გასწორებას და დაღუპვას ემუქრებიან!.. რაღა გვეთქმის?.. პასუხი მათდამი მხოლოდ ღიმილია!.. ცრუ-წინასწარმეტყველები ყოველთვის ბევრი ყოფილან, მაგრამ სარწმუნო კი მათგანი ცოტა გამომდგარა!.. მაშინ როდესაც ცრუ წინასწარმეცყველნი, ფარისეველებისაგან ზურგ-გამაგრებულნი, განცხრებოდენ, ფუფუნებდენ და თამამად გაიძახოდენ; «ჩვენა ვართ და ჩვენ შემდეგ ნუღარავის მოელითო!» ნამდვილი წინასწარმეტყველი და წინამორბედი, «აქლემის ტყავში გამოხვეული, ფეხშიშველა და მშიერ-მწყურვალი, უდაბნოში ღაღადებდა და იორდანის პირად ამას ჰქადაგებდა:—«მე არა ვარ, რომელსაც თქვენ მოელითო!» მე თქვენ ნათელსა გცემთ მხოლოდ წყლითა და ის ნათელს გცემთ თქვენ სულითა წმიდითაო!» ამ სიტყვებმა ზარი დასცეს მეზვერეთა და ფარისეველთა და აშფოთებით ეკითხებოდენ ნათლისმცემელს: «სად არის ის შენგან დასახელებულიო! მან გაიშვირა თითი, დაანახვა ერს მთის წვერზე შორით მომავალი ნამდვილი მოძღვარი და მხსნელი.

დიახ!.. მხოლოდ ნაცარ-ქექია იტყვის: «ჩემით თავდება გმირობაო» და არა ნამდვილი გმირი, რომელიც მომავლისაგან თავის თავზე უკეთესებს მოელის და ნატრობს!.. ვაი, იმ ერს, რომელსაც ჰყვარა, რომ დღევანდელი ჩემი მოძღვრები და გმირები უკანასკნელები არიანო! მისი წარმატება შეფერხებულია.—როგორც ყველი ერი, რასაკვირველია, ჩვენც უნდა მოველოდეთ ჩვენი მომავლისაგან უკეთესს მოძღვრებსა და გმირებს!..

საიდან უნდა გამოვიდეს ეს გმირები? იმ ბუდიდან, რომელსაც ხალხის გული ჰქვია!.. ის უნდა იყოს კეთილი ნაყოფი იმ ხისა, რომელსაც «ხეცნობადისა» ეწოდება!.. აქ, ეგება, ზოგიერთებმა გაიკვირონ და გუნებაში თქვან: სად მთელი ერი და სად ხეო? მათში საერთო მგზავსება განა არისო?» მაგრამ ეს შეცდომაა: «თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ქვეყანაზე საკვირველი თანასწორობაა!.. შემოქმედებითი ძალა ისეთი მიუდგომელი და სამართლიანია, რომ ყველასათვის, ხილულისა, თუ უხილავისა, სულიერისა, თუ უსულოსათვის ერთი და იგივე საარსებო ძალა მიუნიჭებია, თუმცა სხვა-დასხვა ფეროვნებით კი... აი, ბატონებო, შეეხედოთ ამ ხეს! სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან არის შემდგარი... აქვს ფესვები, შუატანი, ანუ ღერი და მაღლა შტოები, სადაც ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი ებმის. ფესვები ღრმად არიან მიწაში ჩამჯდარი... არ ჩანან...

მაგრამ თავი და თავი ძალა მთელი ხის კი ისინი არიან: მათი სიმაგრით დგას ხე ფეხზე და მათგან ეძლევა საზრდო.—ღერი კავშირია იმ ფესვებისა და შტოების: შტოები კი იმ ღერის ამონაყარი ფესვებისვე შემწეობით. ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ხეს ელვა დაჭკრავს, დაჭრაქავს და დაასნეულებს... მაშინ პირველად შტოებს ეპარება სიყვითლე და თუ არ მიეშველეთ, არ გადასხვეთ, მთელ ხესაც გაახმობს; მაგრამ რომ გადასხვეს, მას შემდეგ ისევ ის ხე ამოიყრის ხოლმე მრავალ-გვარ შტოებს, რომელთაც საუკეთესო ნაყოფი მოაქვთ.—აგრეთვე შეიძლება შუა ტანზე, ღერზე დარგოს კაცმა მისი, გვარის ნერგი და გაუმჯობესოს ხე, ერთმანეთთან შეხორცებით, მაგრამ ძირს, ე. ი. ფესვს კი არა მოუხერხდება რა!.. იმის დაჭრა და ხის სიკვდილი ერთი და იგივეა... მაშ თავი და თავი ძალა მთელი ხისა ის ფესვები ყოფილან?!.—დიაღ, მაგრამ ჩვენ იმას ვერ ვხედავთ და მივჩერებივართ მხოლოდ იმ შტოებს, რომლებზედაც ფოთლები სამუდამოდ შრიალებენ, ყვავილები თვალ-მისატანებლად იშლებიან და ნაყოფი მწიფდება.—ეს არის ყოველი ხის არსებითი კანონი, რომელიც ყოველმა მეცნიერმა იცის და უფრთხილდება ფესვებს.—ამ გვარივეა ხალხის საარსებო კანონიც. ყოველი ერი სხვა-და-სხვა წოდებად იყოფა: იმას აქვს თვისი დაბალი, შუათანა და მაღალი ტანი (მე აქ შთამომაველობით წრე არა მაქვს მხედველობაში). ჩვენ ყოველთვის უფრო შევჩერებივართ ზედა ტანს და იმ ფესვს კი, რომელსაც მიწის მუშა ეწოდება, ხშირად ვერც კი ვხედავთ.

აი, თუ გინდა დღესაც, აქ ჩვენთან ერთი მათგანიც არ არის, მაგრამ მათი ნაკუოთხი მარჯვენა კი აქ ჩვენ წინ, ჩვენ სუფრაზე ძევს; «პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო». ჩვენც დღეს ვმხიარულობთ ამ პურ-ღვინით და ეს სიხარულის მიზეზი, იმ მუშების, იმ დაბალ წოდების მეოხებაა, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისე ვუვლიდეთ, როგორც კეთილი მებაღე უკლის ხე-ხილს.—მაშ, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარიბ და ქვედა საფეხურზე მდგომარე მოძმეებს და მათთან ერთად იმათაც, ვინც იმათ არ ივიწყებს!—ეს სადღეგრძელო ღირსეულად ერგება დღეს არჩეულ ბ-ნ სულხანიშვილსაც. ჩვენში ხშირად არჩეულ წინამძღოლს, წინამძღოლს ეძახიან... ეს შეცდომა თვით განხორციელებული სიმართლეა: წინა-მძღოლელი ნიშნავს იმას, ვინც ხალხს წინ უძღვის და წინა-მძღოლელი კი ის, ვინც იმათ წინ-დაწინ გააძღებს ხოლმე:—ამოამარჩიეთო!.. ჩვენ ყოველთვის წინამძღოლები გვყოლია!.. იმათ ყოველთვის მაღლა ეჭირათ თავი და დაბალ წოდებასთან საერთო არა ჰქონიათ რა!.. უცხო კაცს დღის საეალზე მიეკვეებოდენ და წვრილ-ფეხობას თავსაც არ უკრავდენ! ვერ იცნობდენ და მაშ რა. გორღა გაიგებდენ მათ ჭირსა და ლხინს, რომ დახმარებოდენ!—ბ-ნ სულხანიშვილს კი გულმა ურჩია, რომ სწორ გზას დადგომოდა და თავისი ყურადღება უფრო მდაბლისა და წვრილ-ფეხობისათვის მიექცია. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ უმეტესობა გორის მაზრისა კმაყოფილი და მხიარულია მაგისი არჩევით. ამ მხრით, ე. ი. მით, რომ ბ-ნი სულხანიშვილი ზრუნავს და ემსახურება, არა, მარტო ბატონობა დაჩვეულ გვარის შვილებს, არამედ უფრო ღარიბს და წვრილ-ფეხს, აზნაურობას, ის ღირსია პატივისცემისა... და ამიტომაც გულითა ვსვამ, როგორც საკუთრად მისას, ისე იმის ამრჩევლების სადღეგრძელოს!..

«გვალი».

წერილი რედაქციისადმი. *)

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენს გაზეთში დიდი ბოდიში მოვითხოვო «სოფლის სუფრასის» წინაშე, რომელიც მეტად დაუღონებია ჩვენს

*) ვბეჭდავთ ამ წერილს «სოფლის ხუცესის» შენიშვნებით არა მისთვის, რომ მართლა ჩვენი „სოფლის ხუცის“ მწარე ფიქრებს აღგვბობდეს, არამედ მისთვის, რომ უფრო მეტად დარწმუნდეს მკითხველი «სოფლის ხუცის» მწარე ფიქრებში, და თვითონ წერილის ავტორი თავის პასუხის-ულსაფუძვლობაში.

რედაქტორი.

კორესპონდენტიას, დაბეჭდილს ამას წინედ გაზეთს «იგერიაში». რაგორც მისი «მწარე ფიქრები» გვაჩვენებენ, ჩვენი „ხუცესი“ მეტად გაუმწარებია ჯერ ჩვენი სტატიის ენას და მერე თვით ჩვენს აზრს, რომელიც გატარებული იყო ჩვენს წერილში. რაც შეეხება ჩვენი სტატიის ენას, დარწმუნებული ბრძანდებოდეს «სოფლის ხუცესი» იმაში, რომ ის ენა, რომელიც დაბეჭდილს ჩვენს სტატიაში (და არა დედანში, სელთანწერში) იყო, არც ჩვენ მოგვწონა და დიდათაც დაგვალონა, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც გაზეთს „იგერიას“ სენად აქვს გადაქცეული ასეთი ჩვეულება?

ენის შესახებ ერთი სიტყვაც არ წამოგვცდენია და რისთვის იხდის ბოდიშს წერილის ავტორი, ვერ გაგვიგია?!

სოფლის ხუცესი.

«სოფლის ხუცესმა» ნუ თუ არ იცის, რომ «იგერიას» რედაქტორი გაქცა, დიდი ხანია, და მისი ადგილი ხარაზებმა და ალეშოურებმა დაიჭიროს, აი ამ ხარაზებმა მიგლეჯ-მოგლეჯეს ჩემი სტატია და მერე მიუგდეს ალეშოურს, რომელმაც შრეშით ზოგან ზღვარი ჩაწეპა შიგ, ზოგან ანეკდოტი, ზოგან ანდაზა, აქ წინადადება ამოგლეჯა, იქ სიტყვა, ერთს ადგილს შესმენილი, მეორე ადგილზე ქვემდებარე, ჩემი სიტყვები ეიღა მესამე პირს მიაწერა, მისი მე მათქმევინა, აუზია, დაურია თავისებურად და გამოაქვეყნა ის უმზგავსო სტატია, რომელიც მე სრულიად გეღრ ვიცანი! თურმე ასე სტოდნიათ ახლა, ახალი მოდა შემოუღიათ და ესეც ჩვენი ბრალია, მამაო «ხუცესო»?

ჭეშმარიტად მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა თქვენი წერილის დამახინჯების შესახებ, მაგრამ რა ვქნათ! უნდა დავემორჩილოთ ჩვენს ბედს. გულით და სულით ვისურვებ, რომ ეს მარცხი «დაგაჯერონს» ას წელიწადს და მეორედ ალარ შეგამთხვიოს!..

სოფლის ხუცესი.

რაც შეეხება თვით ჩვენს აზრს, რომელიც თქვენ არ მოგწონებიათ, თუ გნებავსთ, ამაზედაც ბოდიშს მოგიხდი თქვენს წინაშე, რადგან შეეცდით და წინდაწინ ვერ დაგეკითხეთ, თუ რა გიამებათ ხოლმე თქვენ და რა არა. თუმცა ამ ბოდიშსაც არ მოიწონებთ, მაშ იმაში მაინც ბრძანდებოდეთ დარწმუნებული, რომ ჩვენ რადესაც გსწერთ, ან ვლაპარაკობთ, იმას ვამბობთ, რასაც თვითონ გფიქრობთ და ვგრძნობთ და არა იმას, რასაც ბაგძახებენ, ან მოიწონებენ, და ინებებენ სხვები, თუმცა ჩვენი აზრები თქვენ არ მოგეწონათ, ერთი ის, რომ მაგას თქვენ არ დასდეთ, მეორე ის, რომ ეგ აზრი არც ჩვენი გამოთქმული იყო პირველად და თქვენც რამე ფაქტები, ან ლოღიკა და ან სხვა რაგორიმე მოსაზრება უნდა წამოგეყენებიათ იმის უკარგისობის დასამტკიცებლად, თორემ მარტო წერტილებით, კითხვითი და გაკვირვებითი ნიშნების წერით სხვას გის გადუტრიალდა გული, რომ ჩვენ დაგეემართოს ეს საქმე? თქვენს კრიტიკაში კი არც ფაქტია და არც რაიმე სხვა საწინააღმდეგო მოსაზრება, ამით მაგიერ მხოლოდ გაკვირვებითი ნიშნებია!

დიად, ჩვენც იმას მოგახსენებდით, რომ, როცა თქვენს წერილს წაიკითხავს კაცი, ეგონება, სწორეთ ეს კაცი ეხლა გამოსულა კიევის გვირაბიდამ და ამ ქვეყნის არა გაეგება რაო. თქვენ ნამეტნავად დანდობიხართ თქვენს «ფიქრს და გრძნობას», და ამიტომაც ნამეტნავად შემცდარხართ. ნუ თუ არ გინახავთ პატარა ბავშები, რომელნიც მთვარისაკენ ხელს იშვერენ მის დასაჭერად?! ასეა გამოუცდელი კაცის «გრძნობა და ფიქრიც», თუ ეს ფიქრი და გრძნობა შეუმუშავებელია გონივრულად. რას ფიქრობს და რას გრძნობს უაზადი, როცა კაცს ძარცვავს? რას ფიქრობს და რას გრძნობს ვეშილი, როდესაც კაცის მკვლეს იცავს და უაჯაო ფულებს ახდევინებს? ძნელია, თუ კაცი გაურჩევლად თავის ფიქრს და გრძნობას დაემორჩილა და ეს თვისი ფიქრი და გრძნობა ლოღიკის საწურავში არ გაატარა.

დმერთმა ჩემს მტერსაც ამშოროს აგრე თვალების დახუჭვა და საქმის გაუგებლობა! თქვე დალოცვილო, საყვედურს გვიცხადებთ, რომ იერუსალიმის ჩვენს ძველ მონასტრებს არ ვიბრუნებთ და ამ საქმეზე საჩივარს არ ვიწყებთო. ჩვენ გითხარით: რა დროს იერუსალიმის ძველი მონასტრის ამოგებაა, როდესაც აგერ ცხვირის წინ მონასტრები ხელიდამ გაგვეცლება, და ჩვენიდან დაცარიელებულ მონასტრებს სხვები ეპატრონებიან-მეთქი. ბ. კიეველი კორრესპონდენტი გამომდგარა და გვეკითხება: დაგვამტკიცეთ თქვენი ნათქვამიო! რადა დამტკიცება უნდა იმას, რომ რიონი შავს ზღვაში ჩადის?!.

სოფლის ხუცესი.

რა თავსატეხია ის აზრი, რომ ჩვენ მამა-შაბურს აკლდიდებას უნდა ხელი არ შეკუშვათ და სხვებს არ უნდა ჩავუგდოთ ხელში?

შენ ვირს შაქარი. ნუ შეუშვებთ ხელს იერუსალიმის მონასტრებს. იერუსალიმში დავიდვათ წილი და ჩვენი საქართველოს მონასტრები ვისაც უნდა, იმათ წაიღონ!..

სოფლის ხუცესი.

საქმეს რიგიანი დაკვირვება უნდა, სიმართლის თქმა, ჭეშმარიტების აღდგენა, ნამდვილი წრფელი და კეთილშობილური განზრახვა—სურვილი, თორემ ცხირკვლეკლობისთვის ვიღას ცალია და ან რას გაკვკეთებთ ამ ცხირკვლეკლობით და «მასლას» ძასილით?

კიეველი კორრესპონდენტი.

სწორეთ მაგას მოგახსენებდით ჩვენც. მადლობა დმერთს, რომ თქვენც ჩვენი თანახმა ხართ.

სოფლის ხუცესი.

ჟურნალ-გაზეთებიდამ.

ამას წინეთ რუსეთის გაზეთებმა გვაცნობეს, რომ სმოლენსკის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა უწესოება მოახდინეს პირველს აპრილს ღამითო. აი რას ეკითხულობთ ამ უწესოების შესახებ გაზეთ «Русскія Вѣдомости»-ში:

„სანამ ამ სემინარიის მოწაფეებს საალდგომოთ დაითხოვდნენ, სემინარიაში მობრძანდა სმოლენსკის და დოროგობუჟსკის ეპისკოპოსი გური. ყოველად სამღვდელომ, სხვათა შორის, გამოსთქვა თავისი მწუხარება პირველ აპრილს მომხდარ უწესოებისა გამო. ამაევ დღეს გათაევდა გამოძიება, რომელიც სწარმოებდა ხუთი დღის განმავლობაში. გამომძიებლად იყო დანიშნული უწმიდესი სინოდის სამოსწავლო კამიტეტის წევრი დეისტ. სტ. სოვეტ. პ. ი. ნეჩაევი. ბ-ნი ნეჩაევი მოვიდა ქ. სმოლენსკში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის მინდობილობით. ბ. ნეჩაევის მიერ მომხდარ გამოძიების შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი გარდაწყვეტილი სიტყვის თქმა არ შეიძლება; მაგრამ ხმები ისმის, რომ სემინარიის ზოგიერთი მოწაფეები გამოირიცხებიანო და სემინარიის გამგეობის პირთა შორისაც ცვლილება მოხდებაო: სემინარიის ინსპექტორმა პ. ვ. ლიუბოსლავსკიმ და მისმა თანაშემწემ პ. პ. კირილოვიჩმა უკვე შეიტანეს დათხოვნის ქაღალდი (ინსპექტორის თანამდებობას ღვეს ასრულებს ისტორიის მასწავლებელი ვ. ნ. როდიონოვი). ამბობენ, რომ სემინარიის მოწაფეებს მისცეს შემდეგი ოთხი კითხვა, რომელზედაც მათ წერილობით უნდა მიეცათ პასუხი: 1) რამ გამოიწვია უწესოება პირველ აპრილს ღამით? 2) იციან თუ არა მათ, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ამისთანა უწესოებას? 3) რა სურდათ მოეხდინათ მათ ამ უწესოებით? და 4) თითოეული მათგანი რას ჩადიოდა ამ უწესოების დროს? ყველა ამ კითხვებზე მოწაფეებმა მიუგეს შემდეგი პასუხი: პირველზე მიუგეს, რომ უწესოება გამოიწვია სემინარიის ინსპექციის მოქმედებამო. მეორე კითხვაზე უპასუხეს, რომ უწესოების შედეგი მთლად არ ჰქონდათ მათ შეგნებული; მესამეზე, რომ ამ უწესოებით გესურდა უმაღლეს სასულიერო მთავრობას ყურადღება მოექცია ჩვენთვის, და შეეტყო, თუ რა

შეეიწროებულ მდგომარეობაში ეიყავით სემინარიის ინსპექციისაგანო, ხოლო მეოთხე კითხვაზე კი სხვა და სხვა პასუხი მისცეს: ზოგი ამბობდა, რომ უწესოების დროს დასაძინებელ ოთახში ეიყავეო, ზოგმა სთქვ, არ მახსოვსო, თუ რას ჩავდიოდი იმ დროსო. ამბობენ, რომ სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრებ მოწაფეებს მეცადინეობის თავისუფალ დროს დაშლილი ჰქონდათ ინსპექციისაგან სადმე წასელა სემინარიიდამ; მხოლოდ ოთხშაბათობით და კვირაობით შეეძლოთ მოწაფეებს სემინარიიდამ წასვლა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ნება-რთვას მიიღებდენ ინსპექციისაგან; სხვა დღეებში მოწაფეების პალტოები ინსპექტორის განკარგულებით დაკეტილი იყო ხოლმე ყუთებში. იმ მოწაფეებს, რომელნიც დაარღვევდენ ინსპექციისაგან დადგენილ წესებს, სასტიკად სჯიდნენ: სტოვებდნენ კარცერში და რამდენიმე დღე უსადილოთ არჩენდენ თურმე და სხვა. რაც შეეხება მეორე კლასის მოწაფეს კულიუკინს, რომელმაც 30 მარტს განიზრახა თავის მოკვლა, ამის შესახებ სულ სხვა ხმები ისმის: სამი დღის წინათ, სანამ ეს 17 წლის ყმაწვილი თავის მოკვლას განიზრახავდა, მას რაღაცა დამნაშაობისათვის ინსპექტორის თანაშემწემ კირილოვიჩმა მისცა სასტიკი შენიშვნა მისი ამხანაგების თვალწინ, ასე რომ ამ მოწაფეს იქვე გული წაუვიდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ამავე მოწაფეს შეხვდა ქუჩაში ინსპექტორი და შენიშვნა მისცა მას, რომ იგი მუდამ დასეირნობს და ამ დღიდგან განკარგულება მოახდინა ინსპექტორმა, რომ კულიუკინი სემინარიიდამ აღარ გაეშვათ სადმე, მის მამასთანაც კი, რომელიც იქვე სემინარიის მახლობლად სცხოვრებდა; ამბობენ კიდევ, რომ ამ მოწაფეს უპოვნეს რაღაცა წერილი, რომლის გულისათვის ის შვიდი დღით ჩასვეს კარცერშიო; ალბათ ყოველივე ამაებმა აიძულეს კულიუკინი, რომ თავი მოეკლა. იმედი არ არის, რომ ეს მოწაფე მორჩეს. ტყვიას გაუვლია ფილტვების გარსი და გაუჭრია მარცხენა ფილტვი.

დრო თამარ მეფისა.

(ვუძ. კნიაჟ. ნ. ო—ძეს)

შვიდას წლის წინედ ეს საქართველო
იყო კეკლუცად აღყვავებული,
აქ ქართველთ საესე სიცოცხლე სდუღდა
ციურის მადლით ნათელ-ცხებული.

საქართველოის დედა, შვენება
მეფე თამარი კეთილ, სულ-მნათი,
ვისითა მოსწონს დღეს ქართველს თავი,
გულს უსვენია ვისი სურათი.

ვინც იყო ბრძენი, მშვიდი და წყნარი,
ერთ-არსებისა მადიდებელი,
თვისის საყვარლის ქართველის ერის
და სამშობლოის განმდიდებელი.

მაშინ სცხოვრებდა ეს დიდი მეფე,
ლაღი, უსწორო, ენა-წყლიანი,
ობოლთ ნუგეში, სათნოიანი,
უხვი, მართალი, მოწყალიანი.

მას ხელთა ეპყრა ძლევის გვირგვინი
ზეგარდმო მადლით, სხივით მოსილი,
ვინც მტრად აღუდგა, ყველა შეიქნა
მისი ერთგული ყმაი მორჩილი.

დროშა-ალამი მტერთა მძლეველი
დიდებით იყო აქ აღმართული,
სხვილ ოქრო-მკედის ასოებითა
ზედ ეს სიტყვები გამოქარგული:

«ენა მდიდარი, სარწმუნოება,
სჯულისა დაცვა, მაღალი გრძნობა,
დიდ-სულოვნობა, პატიოსნობა,
ამხანაგობა, ერთობა-ძმობა,

სწავლა, გონება, კაცთ მოყვარება,
პირ-უთვნელობა, ჭირში არ მალვა,
ერთგულთა ჯილდო და დაფასება,
სამშობლოსათვის მტერთან შებრძოლვა».

განწყობილ იყო ციხე-ქალაქი,
გამაგრებული სიმაგრეები,
საკეთილ-დღეოდ ხელსა უწყობდა
მეურნეობას შარა და გზები.

კაცს შეენებითა თვალს მოსტაცებდა
აქა-იქ მთებში წმიდა საყდარი,
მათზედა იყო ესრედ წარწერა:
«ძლევა მოსილი მეფე თამარი».

გემოზე მორთულ უთვალავ ჯარსა
აქ განაგებდენ ასის-თავები.
ხშელად ბრწყინავდენ სასწავლებლები,
ზღვებში ხომალდი, გემი, ნავები.

ლხინში ქართველი მოცლილსა დროსა
საამო იყო რამ სანახავი,
საფრხეში ჰქონდა ფოლადის გული,
ბრძოლაში მკლავი დაუღალავი.

ეხლა დედანი? (ნეტარ მათ სახელს)
მარადის ჰქონდათ საღმრთო წყურვილი,
მათი ცდა იყო, რომ აღეზარდათ
მამულისათვის ერთგულნი შვილნი.

ერი გულადი, უხვი, პურადი,
სწავლული, ბრძენი, ღვთისა მორწმუნე,
თამარის დროსა მატიანემა
უწოდა ოქროს მას საუკუნე.

აზრით მაღალმა, ენა მდიდარმა
რუსთველმა ჩანგი აქ ააჟღერა
და ტკბილსა ქართულს პოეზიასა
უკვდავი სული იმან თშაბერა.

ესე დიადი გრძნობის ნაშობი
ღღემდის საფიცრად გახდა იმერთა,
«ვეფხის-ტყაოსნის დედა-აზრები
ქართველს ხორც-სისხლში აწ შეუერთდა.

იმ დროს მშვენება რომ მთლად ასწეროს,
უნდა მწერალი სახელოვანი,
გახდა სანატრი, სახარბიელო
დრო მათი ოქროს ყვავილოვანი.

ენატრულობ იმ დროს და სული სტკბება,
როს მოვიგონებ წარსულ ქართველებს,
ბევრჯელ კი გული ნაღვლით მევსება,
თვალთაგან ვაბნევ მდუღარე ცრემლებს.

დედავ ღვთისაო, საქართველოსკენ
გეჭიროს მარად მოწყალე თვალი,
შენი ხვედრია, კვლავ მოეც სწავლა
და წარუმართე ცხოვრების კვალი.

გრიგოლ გ—ნავა.

ანდერძის ნაწყვეტი.

როდესაც სიავ-სიმრუდის
დრო შეიცვალოს სიმართლედ,
ბნელის წილ გაჩნდეს ნათელი,
ღამე გარდიქცეს სინათლედ,

ასი ლაჩარის მაგიერ
ათასობით ჩნდეს გმირები,
მათ აგვისრულონ ყოველი
ნაქადი, დანაპირები,

მათი წყალობით ჩაგრულთა
ჩარხი წაღმართად ბრუნავდეს,
ყველა ერთად და ძმა ძმისთვის
საკეთილდღეოდ ზრუნავდეს.

ძმაი ძმისაგან მძლავრობით
არ იჩაგრ-ითელებოდეს,
მტრობა და შური სიტყვითაც
არ-სგან იხსენებოდეს,

მახარეთ ეს მკედარს საფლავში,
ამას გთხოვეთ სიყვარულითა,
ვიცი, რომ ძვლებიც დასტკბება
ამ შვება სიხარულითა.

რ. საფაოხელი.

საისტორიო მასალა.

იგანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი XIII-დმა მართმეული.

უმაღლესო და უმოწყალესო, ხელმწიფევ და მამავ, მეფეო სრულიად საქართველოსაო და სხვათა, გიორგი XIII.

შვეშვერდიმაღლესი ჩემ-მიერ წინადადება.

სხვა და სხვა გვარმან ცვალებამან კანონთამან, უთანხმოებამან ⸗ უწესოებამან მართებლობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოსა ერნი განწირულებასა შინა; და ამა გარემოებასა შინა მყოფი აღყვანებულ იქმენ საყდარსა წინაპართა შენთასა, და

სჭერენ ყოველსა ამას უწესოებასა და წარუმართველობასა საქმისასა და უკეთუ ღონესა არა რაჲსამე მოიპო�sებთ, ესე უბედურობაი იქმნების განგრძელებულ. მე ქრისტიანულისა და ერთგულურისა გულითა, ვითარცა მშობელისა მიწისა ჩვენისა ერთ-მემამულეთათვის, ეგრეთვე უმაღლესობისა თქვენისათვის, შველ ესგუარსა კადნიერებასა, და ესე ღონეჲ, რომელიცა იქმნების სარგებლოვანი და არც სამძიმო ერთათვის, აქა მოვიხსენენ რაოდენნიმე მუხლნი ჰსჯულ-სადებელად ქვეშევრდომთა თქვენთა, და სქესთა მეფისა ძეთასა და სამღვდელო თავადთასა, რომელ უკეთუ იქმნების სრულ-ყოფა ამისი, ესასოებ, რათა ამის ძლით იდიდნეთ თქვენცა და სარგებელ ექმნენცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართველოსა შინა.

მხედრობისათვის.

პირველი. საჭირო არს, რათა იყოს მხედრობა ყოველთვის მზა სახითა ამით, რომელ ყოველსა თავადის ყმასა, ეკლესიის ყმასა, აზნაურის ყმასა, სამეფო არცა ხარჯი და არცა ბეგარა ეთხოებოდეს, ათმან სულმან ანუ ათმან კომლმან ერთი კაცი მოგცენ თავისის პურით ხუთს წელიწადს, უცოლშვილო ყმაწვილი კაცი, და აგრეთვე თქვენის სახასოდამაც გამოიყვანეთ *) ამ სახით, და ამათ თქვენ მიეცით სამეფოს კოდის პურიდამ, და ესე ჯერი შედგება ვიდრე ორი ათას კაცამდე; აქედამ რაოდენნიმე იქმნებიან თოფჩებად, და სხვანი თოფქვეშე მყოფნი, ნოქრად წოდებულნი. და ესენი შემდგომად ხუთისა წლისა დაითხოვენენ, რათა იქორწინონ და ნაცულად ამათსა სხვანი მოვიდნენ. ამა მხედრობასა შინა დაინიშნენ **მეფის ძენაცა და თავად-აზნაურნაცა**, და ესენი განისწავლენ მსუბუქად რეგულის გვარად.

მეორე. ოცდა ოთხი ზარბაზანი დიდი და წერილი უნდა შთამოიხას და ესე იყოს ყოველთვის მზად გაწყობილი თავისი თოფჩებით სატარებლად, და ამაშიაც იყოს მეფის ძე, თავადნი და აზნაურნიცა, მეციხოვნედცა აქედგან იყვნენ დანიშნულნი.

*) გვერდთ უწერია: «ამათ გამოყვანაზედ იყუნენ რაოდენიმე დიდნი კაცნი მიჩუნილნი, რომ კარგი კაცნი გამოარჩიონ».

ქ. აქადამ იუნენ მეფის გუარის მეკვლენი ჯარულნი ანუ ქეშიგნი. და ამათი უფროსი იყოს ქეშიკ ბაბაში; აგრეთვე მთის კაცნიცვე ისეკ იუნენ ქეშიკად.

მესამე: ცხენოსანი ჯარი. რაც მსახურნი არიან, აგრეთვე თარხანნი კაცნი, და თათრებისა მსახურნი, ალალარის შვილები, და თარხანნი სომეხნი, აქედამ გაკეთდება ცხენოსანი ჯარი; ესენი კომლად იყუნენ, და ამათ მიეცეთ სამეფოს სახლიდამ პური და ცხენის საჭმელი.

მეოთხე: მდევრობა როგორც არის ქართლსა-კახეთში, ის ისევე მოუშლელი იყოს, და ვინც მდევარს დააკლდეს, მოურავი ნუ მიიღებს მათ ნარბევს, არამედ მდევრის კაცმან დაუკლას საკლავი, ვის როგორც შეუძლიან, და შეუსონ ღვინო შეძლებისამებრ სარბევის კაცისა.

მეხუთე: ქართლსა შინა იყოს ოთხი სარდალი ამილახვარით, გარნა ამილახვარი იყოს მათ ყოველთა ზედან უპირველესი. ამილახვარი, თვის სასარდლოსა თვისთან დროშასთან იყოლიებდეს. აბაშიძე ერთ-ერთი სარდლად საბაშიოთა და საქეფინისხეოთი, სურამით და მის გარეშემო ადგილებით ვიდრე დირბამდინ რაც სოფლელებია, ამათი სარდალი იგი იწოდებოდეს. მესამე გალმა მხრისა, საციციანოსი სათარხნოსი და სხვათა სარდლად, ცაციშვილი იწოდებოდეს. მეოთხე მუხრანის ბატონი, სამუხრანოსი, საარაგოსი და ქსნისა სარდლათ იწოდებოდეს. ხოლო სომხითსა შინა იყოს პირველი სარდალი ყაფლანის შვილი და თათრებსა შინა მოურავნი, და ესენიც ხელ ქვეშე თვისის სამოურაოს კაცითა ამა ყაფლანის შვილისა ხელქვეშე იყვნენ ჯარშია. აგრეთვე კახეთი იყოს, ოთხ სასარდლოდ განყოფილი, ხოლო პირველი იყოს ქიზიყის მოურავი ქიზიყით ჭ საენდრონიკო სავაჩნაძოთი, ეს ამის დროშის ქვეშ იყვნენ. გურჯანზეით კაცნი ვიდრე ახმეტამდის იყოს ჩოლოყაშვილის ხელ ქვეშ. გალმა მხარი მთლად იყოს ბახტრიონს ქვეით, ვიდრე გავაზამდე ენისელ მოურავის ხელქვეშ. ხოლო გვერდის ძირი ჯიმათიდამ (?) მოკიდებული გელაჩურამდის იყოს ანუ მარტყოფის მოურავის ხელ-ქვეშ ანუ საგარეჯოს მოურავის ხელქვეშე. ამა ზემოხსენებულთ მხედრობათ მაშინ უნდა

გამოიყვანდენ კომლად თუ ქუდზედ კაცსა, ოდესაც დასჭირდება ქვეყანასა: ანუ სპარსნი მოვლენ, ანუ ოსმალნი და ანუ დაღისტნიდამ დიდნი ჯარნი. ამა სარდლებთ ეყოლებათ თავადნი, აზნაურნი, მინბაშებიდამ მოკიდებულნი უზბაშებამდის, მოხელენი და აგრეთვე ქვესანი, თუ ვის რაოდენი მოხელე დასჭირდებათ, ამ სახედ: ყოველი სასარდლო სოფლები, რუმელიც დიდროვანია და ასი მეტი კაცი გამოვა, იმა სოფლებს უნდა ჰქონდეთ თითო ბაირალი, სხვა და სხვა ფერების, რომ იმით გაირჩეოდნენ ის სოფლელები, ჯ თავის ბაირახთან იმყოფებოდენ პირველ მწყობრად, მეორე ბაირალთან მეორე მწყობრად, ესამესთან მესამე მწყობრად, და ესრეთ უმორეს; რომ ამით ადვილად დაეწყობა ჯარები და ყოველნი თავის ბაირალ ა მიმართვენ; ოდეს ბაირახტრები გავლენ და რიგზედ დაურეკმენ ბაირალთა, მაშინ თავთავის ბაირიღისა მივლენან თავთავის ადგილსა. აგრეთვე წვრილი სოფლები ორი-სამი ერთად უნდა შეერთდეს და იმათ აქუნდესთ ერთი ბაირალი.

ყოველსა სასარდლოსა უნდა ჰქონდეს ოროლი წვრილი ზარბაზანი, და მათთვის იმათვე სასარდლოში უნდა იყოს გამორჩეული თოფჩები, რომ იყვენენ ნასწავლნი და ოდეს ჯარში ან მდევარში გამოველენ, მაშინ ეს თოფჩები იქმნებიან ამა ზარბაზნებთან, და ამისთვის ან თავადი და ან აზნაური იქმნება უფროსად, და ამათ სატარებლად სასოფლოდამ უნდა იყოს ხარი თუ ცხენი.

აგრეთვე იყოს თოფჩიბაში და ამას კბაჩოს ოთკეული საჭირო იარადი: თოფი, ზარბაზანი, ტეკია, წამალი და თოფნი, და ტიხებშიაც აქუნდეს ნაწილი.

(შემდეგი იქნება).

რუსეთის დედოფლის მოგზაურობა.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითა და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძითურთ აბასთუმანში სცხოვრობდენ მაისის 15-დგან 11 იკნისამდე. ამ დღეს საქართველოს დიდებულნი სტუმარნი გაემგზავრნენ ბათუმს და იქიდგან ნოვოროსიისკზე კურსკო-ხარკოვო-აზოვის სადგურ «ბორკას», რადგან ამ თვის 14 დანიშნული იყო ახლად აგებულ ეკ ესიის კურთხევა სწორეთ იმ ალაგს, სადაც 1888 წ. უბედურება დაემართა სამეფო მატარებელს.

შაბათს დილიდგანვე აბასთუმანი კეკლუცად მოირთო დროშებით, ყვავილები ხვეულებით. დილიდგანვე დიდის მთავარის გიორგი ალექსანდრეს ძის სასახლეს მიაწყდა დიდძალი ხალხი: რათა კიდევ ენახათ დედოფალი. აბასთუმანში დედოფალმა მრავალი ძვირფასი ოქრო-ვეცხლის და ბრილიანტების ნივთები დაურიგა საჩუქრად.

დიდებულნი მგზავრნი ახალციხეში მოგრძანდენ დილის 11 საათზედ. ახალციხლები დაუხვდნენ დედოფალს ფოსტის სადგურთან «ურას» ძახილით. ხალხი, ჯარი მუზიკით, სასწავლებლების შეგირდები, ამქარი ორ ვერსის მანძილზედ იდგნენ გზის ორსავე მხარეს. აქვე მის უდიდებულესობამ მიიღო მრავალი თხოვნა და გაემგზავრა ბორჯომ. აწყურში დედოფლის ეტლი არ შეუჩერებიათ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ბორჯომში, სადაც იმპერატრიცას ეტლი მოვიდა ნაშუადღევის მეორე საათზე, მის უდიდებულესობას და დიდებულ მოგზაურთ დაუხვდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. სასახლესთან და გზაზედ დიდძალი ხალხი იდგა. აქ სასახლეში მის უდიდებულესობამ და მათმა უმაღლესობამ ამალითურთ ისაუზმეს და შემდეგ ხაშურს გაემგზავრენ.

საღამოს 5 საათსა და 45 წუთს რუსეთის დედოფალი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ამალითურთ ხაშურში მოგრძანდენ.

რკინის გზის სადგურები ლამაზად იყო მორთული ყვავილებით და ბაირალებით. საღამოზედ ჩირაღდანი იყო გამართული. რიონიდგან ბათუმამდე რკინის გზის ორივე მხარეს მაშხალები ენთო. სამეფო მატარებელი მარტო სამ სადგურზედ შეჩერდა: ყვირილაში, აჯამეთში და ლანჩხუთში. აქ დედოფალი დიდი ხანი იდგა ვაგონის ფანჯარასთან და ყურს უგდებდა ქართულ სიმღერებს და უყურებდა ვაგონის წინ მოცეკვავეთ.

სამეფო მატარებელი ბათუმს მოვიდა ღამის 1 საათსა და 20 წუთზედ. გენერლობა, ჯარი და დიდძალი ხალხი «ურას»-ს ძახილით მიეგება. ბათუმში რკინის გზის ლიანდაგი ზღვის პირამდე განათებული

იყო ბენგალის ცეცხლით და მშვენიერად იყო გაჩირაღდნებული; ნავთ სადგური ელექტრონის ფარნით იყო განათებული. მისი უდიდებულესობა ამალითურთ მატარებლიდგან გადაბრძანდა «წმ. ნიკოლოზის» გემში, რომელიც ღამის 2 საათსა და 15 წუთზედ ნოეროროსსიისკში წავიდა; ამ გემს უკან მისდეოდა კანონერკა «დონელი».

ახალი ამბები და შენიშვნები.

ამ 1894 წელს იმერეთის საეპარქიო ქალების სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიიღებიან მთხოვნელები. მსურველთ თხოვნები საჭირო საბუთებითურთ 20 მარიობისთვემდე უნდა შეიტანონ ამ სასწავლებლის გამგეობის სახელზედ.

*
* *

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზია მომავალ სასწავლო წლიდამ გადაკეთებულ იქმნება შვიდ კლასიან რეალურ სასწავლებლად. სტიპენდიები, რომელიც დღემდე ეძლეოდა პროგიმნაზიის მოწაფეებს, მომავალ სასწავლო წლიდამ მოისპობა და ეს ფულები რეალურ სასწავლებლის შესანახავად იქნება დანიშნული. ამავე სასწავლებელს უნდა მოხმარდეს ის ფულებიც, რომელიც დღეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პარალელური კლასების შესანახავად იხარჯება. რამდენადაც საჭირო და სასარგებლოა რეალური სასწავლებელი ქუთაისის გუბერნიაში, იმდენადვე საჭიროა პარალელური კლასებიც და პროგიმნაზიაც ამ უკანასკნელთა დახმარებითაც მერვე კლასს ძლივს ათავებდა ოცი ოცდა ათი ყმაწვილი, უამათოდ კი მათი რიცხვი ალბად ძალიან შემცირდება.

*
* *

წელს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში სწავლა დაასრულა 79 მოწაფემ. ამათში 49 მოწაფეს მიეცა ნება სემინარიის პირველ კლასში შესვლისა.

* *
*

დღემდის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლების სამმართველოსაგან გაგზავნილ მოწაფეებს გამოუცდელად იღებდნენ სემინარიის პირველ კლასში. წელს კი ეს წესი, როგორც სჩანს თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოის მოწერილობისაგან, შეუცვლიათ. დღეიდგან ოთხ-კლასიან სასწავლებლების სამმართველოებისაგან გაგზავნილ მოწაფეებს სემინარიაში ეკზამენს დაუჭერინებენ, და რომელნიც მათში ღირსნი აღმოჩნდებიან, მარტო მათ მიიღებენ სემინარიის პირველ კლასში.

ამ უკანასკნელ განკარგულებას მიზეზი, ჩვენის აზრით ის უნდა იყოს, რომ ყოველ წლობით სემინარიის პირველ კლასში შემომსვლელთა რიცხვი დიდი იყო და ადგილები კი ცოტა. ამიტომ ამ ბევრ მსურველთა შორის ამოარჩევენ უფრო ნიჭიერ ყმაწვილებს და მარტო იმათ მიიღებენ.

* *
*

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ მიიღო მიწერილობა თბილისის სასულიერო სემინარიის მთავრობისაგან. ამ მოწერილობის ძალით ოთხ კლასიან სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი ყმაწვილები 20 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ ეკზამენის დასაჭერად ან თბილისის და ან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში.

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეკლესიო კითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

ერთი პატივცემული მღვდელი გვწერს: «რას უნდა მიაწეროს კაცმა ის მოვლენა, რომ ეხლანდელ დროში ზოგიერთი ნასწავლი მღვდლები ლოცვის კითხვას ისე არ გასდევენ, როგორც ძველი მოხუცებულნი? განათლების ბრალია ეს, თუ გაუნათლებლობისა? თუ ძველი და მოხუცებული მღვდლებისათვის საჭიროა მწუხრს, სერობას და ცისკარს

ვარდა ლოცვნის ლოცვების აღსრულება, რატომ ესეც საჭირო არ უნდა იყოს ნასწავლი მღვდლებისათვის?»

კარგა ხანია, რაც ეს წერილი მივიღეთ ჩვენ, მაგრამ არ გვესურდა პასუხის გაცემა. რაც დროა მიდის, ისე ეს კითხვა თან და-თან ერევა ჩვენს საეკლესიოებაში და როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით არა ერთს უთხოვნია ჩვენთვის ამ კითხვის განმარტება. ამისათვის ეხლა საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ ამ კითხვის შესახებ და ისიც განვმარტოთ, თუ რამდენად ეალდებულია მღვდელი აღასრულოს ყველა ლოცვები, რომელიც ეკლესიურის კანონით მასს ეალად ედგინება.

გამოტეხილად უნდა ვთქვათ, რომ ლოცვნის ლოცვების აღსრულებაში თითქმის ერთ ნაირად კოჭლობენ ყველა მღვდლები. მოხუცებული მღვდლები როგორც ნასწავლნი, ისე უსწავლელნი არ ერთ ლოცვას არ დასტოვებენ ლოცვანში, რომ არ წაიკითხონ. მაგრამ როგორ კითხულობენ ამ ლოცვებს? უმეტეს ნაწილად მთელს ლოცვანს მედავითნეს წაიკითხებენ და იშვიათად იქნება, რომ თვითონ მღვდლებმა წაიკითხონ რამდენიმე. მოხუცებულნი მღვდლები არასოდეს წირვას არ გაბედავენ, თუ ლოცვანი სულ არ წაიკითხეს, ლოცვანის წაუკითხავობა ისე მძიმეთ მიაჩნიათ მათ, როგორც ცისკრის და მწუხრის დატოვება. თუ რაიმე მიზეზის გამო მოხუცებულ მღვდელს რომელიმე ლოცვა დაურჩა წაუკითხავი, წირვის შემდეგ მაინც უსათუოდ წაიკითხავს მას; ერთი სიტყვით ყველასათვის და განსაკუთრებით სემინარიელ მღვდელ თათვის გასაოცარია ის ერთგულობა რომლითაც მოხუცებულნი მღვდელნი კითხულობენ ლოცვანში ყველა ლოცვებს, მაგრამ ამავე დროს გასაოცარია ისიც, თუ როგორ უყურადღებოდ და უგულოდ კითხულობენ ამ ლოცვებს ზოგნი. მოხუცებული მღვდლები უმეტეს ნაწილად ლოცვანს თვითონ კი არ კითხულობენ, მედავითნეს მისცემენ ლოცვანს ხელში და მას აკითხებენ, თვითან კი იქვე მახლობლად დგანან და ზოგიერთი მამები ამ დროს ოჯახში სხვა და სხვა განკარგულებას იძლევიან ხოლმე და სანამ მედავითნე «დაუჯდომელს, გმადლობის და «ზიარების ლოცვას წაიკითხავდეს, მღვდელი ოჯახურ საქმის განკარგულებას ათავებს კიდეც. ასეც მოხდება ხოლმე: მედავითნე, მთავარი ან მღვდელი იწყებს ლოცვნის კითხვას, სხვები ისმენენ; ლოცვნის კითხვის დროს ერთი «კრიალოსანს» არაკუნებს, სხვები ერთი ერთმანეთს ემუსაიფებიან. გაიხსენებენ რაიმე ძველ ამბავს და სანამ ესენი ამ ამბავზედ ბაასს გაათავებდენ, მკითხველი უკვე ათავებს ლოცვას და ამ ლოცვის გათავებას შეიტყობენ ხოლმე ეს მამები მხოლოდ მით, რომ მკითხველი წიგნის კითხვას ანებებს თავს.

თვითონ ჩვენის თვალით გვინახავს უმეტესად მოხუცებულ სასულიერო პირთა შორის ისეთ მღვდელნი, რომელნიც ცისკრის ან სხვა საზოგადო ლოცვის დროს კითხულობდენ ლოცვანს, მხოლოდ ასამაღლებელის წარმოთქმის დროს შეწყვეტდენ ენახეთ ერთი დიდად დამსახურებული რუსის არქიმანდრიტი, რომელმაც წირვის დაწყების დროს პირველი ასამაღლებელი წარმოსთქვა თუ არა, დადგა ტრაპეზის გვერდზედ და დიდი მშვიდობიანის გათავებამდინ ზიარების ლოცვას კითხულობდა...

ახალი ნასწავლი როგორც აკადემიელნი, ისე სემინარიელები და ოთხ კლასიან სასწავლებელ კურს დამთავრებულნი სრულებით არ შეიძლება შედაროთ ძველ მღვდლებს. თუ როგორ იქცევიან ესენი «ლოცვნის» კითხვის შესახებ ამას შემდეგ ნომერში მოუთხრობთ მკითხველს.

შინაარსი: სალიტერატურო განყოფილება. საზოგადოების საგულისხმოდ.—რა არის ცოდვების მისატევებელი ქაღალდი?—ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდელოებისა საყურადღებოდ.—წერილი რედაქციის მიმართ.—მწარე ფიქრები.—სიტყვა, წარმოთქმული აკაკის მიერ ქართლის თავადაზნაურობის წინაშე.—წერილი რედაქციისადმი.—ყურნალ-გაზეთებიდამ.—დრო თამარ მეფისა.—ანდერძის ნაწყვეტი.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 20 Іюня 1894 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.



მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე
ცესარევიჩი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე.

დამატება „მწყემსის“ ჟურნალ

მეოცეოდრე ტესარეგიჩის დანიშნული ბრინცესა
ალისა ჰესენისა.